წელიწადი მეორე | ფასი 7 კაპ. | კვირა, 1 მაისი 1916 წ. | № 97

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე [illegible] 15 კ., [illegible] გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ელირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ელირება 4 მ.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.



ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**უპრემიოდ ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე

**პრემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ. გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.

**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.

**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**



ხუთშაბათს, 27 აპრილს, არამიანცის საბავშო საავადმყოფოში ერთი თვის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თბილისის ქართული გიმნაზიის პარველი განყოფილების მოწაფე

## ელენე (ელიკო) დარეჯანაშვილი

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და განსვენებულის ტოლ-ამხანაგებს გულდაწყვეტილნი **დიდედა მარიამ, ბიცოლები: ელისაბედ, (ლიზა) და ტასო, ბიძები: დომენტი და ივანე არონიშიძენი, დეიდა ელისაბედ (ლიზა) და გიორგი კვერნაძეები.** ცხედარს გამოასვენებენ არამიანცის საავადმყოფოს სამლოცველოდან დღეს, დილის 10 საათზე. დაკრძალვა მოხდება კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე. (1—168—1)

დედა, ოლღა ლაზარეს ასული, დაი ელენე მიხეილის ასული და ძმები ვალერიან და ეფრემ მიხეილის ძენი ბილანაშვილები, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროვოთ გარდაცვალებას საყვარელი

## ანნა მიხეილის ასულის ბილანაშვილის

პანაშვიდი დღეს, 30 აპრილს, დაკრძალვა კვირას, 1 მაისს, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება ბინიდან დილის ცხრა საათზე. სტავროპოლის ქუჩა, № 14, ნაძალადევში.

კვირას, 1 მაისს, დილის 11 საათზე კუკიის წმ. ნინოს ეკლესიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება წლის პანაშვიდი

## პავლე ალექსის ძე კალანდაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ მის ამხანაგებს, მეგობრებს და ნათესავ-ნაცნობებს განსვენებულის დამწუხრებული **მშობლები, დები, ძმები და სიძეები.** (2—90—1)

## ახალი კლუბი

ახალი კლუბის **გამგასახლისთა საბჭო** ამით აცხადებს, რომ 1-ლ მაისს **კლუბი გადადის საზაფხულო შენობაში**

ამავე დღეს გაიმართება საერთო სადილი.

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ კლუბის შვეიცრებთან

## სახალხო სახლი

**ორშაბათს 2 მაისს** ქართ. დრამ. დასის მსახიობი **ალ. იმედაშვილი** გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება

ტრაღ. 5 მოქ. და 9 სურ. **ჰამლეტი** ვ. შექსპირისა, თარ. ივ. მაჩაბელისა.

**ჰამლეტის როლს შეასრულებს ალ. იმედაშვილი.**

**მონაწილეობას მიიღებენ:** აბაშიძე ტასო, დავითაშვილი ნ., ბეჟანიშვილი ს., კ. ანდრონიკაშვილი, გუნია ვალ., გედევანოვი, გ., ვარვარიძე, ვ., გომელაური ზაქ., იმედაშვილი ალ., გვარაძე ნ., ივინიძე ი., თარალაშვილი ი., კორიშელი პ., სარაული მ., ხონელი შ. და სხვა.

**წარმოდგენის დასაწყისი საღ. 8 ს.** — რეჟისორი **კ. ანდრონიკაშვილი.**

ადგილების ფასი 2 მ.-დან 35 კ.-მდე. (3-87-2)

## ხარფუხის საზოგადო კლუბი

**დღეს, 1 მაისს გადადის საზაფხულო სადგომში**

(მიხაილოვის პროსპექტი № 131)

## დღისით გაიმართება საერთო სადილი

საღამოს

## თამარ მეფის დღესასწაული

წაკითხული იქნება რეფერატი **თამარ მეფის ცხოვრებაზე.** ქართულ მომღერალთა გუნდი **მ. კავსაძის ლოტბარობით,** შეასრულებს სადღესასწაულო სიმღერებს. წაიკითხავენ ლექსებს და პოემებს. ბაღში დაუკრავს საზანდარი და სამხედრო ორკესტრი. დასაწყისი 8 ნახ. საათზე.

შესვლა **დღესასწაულზე უფასოა.**

ნაწილი შემოსავლისა გადაიდება **„განათლების“** საზოგადოების სასარგებლოდ. (1-61-1)

## თბილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ **მაისის პირველიდან დაიწყება**

## ტრამვაის ვაგონების მოძრაობა შუაღამის 12 საათიდან 2 საათამდე

ვაგონები ივლის შემდეგს ლიანდაგებზე: 1. მუშტაიდი—ვერის ხიდი—ერევნის მოედანი, მუშტაიდი—ვერის ხიდი წყნეთის ქუჩა (გადაჯდომა ზემელის აფთიაქთან), მუშტაიდი—კუკიის ხიდი—ერევნის მოედანი, მუშტაიდი—ვორონცოვის ძეგლი, 19 თებერვლის ქუჩა (რიყე)—კახეთის მოედანი (ავლაბარი), (გადაჯდომა ვორონცოვის ძეგლთან), ვაგზალი—ჩერქეზიშვილის ქუჩა—ერევნის მოედანი (გადაჯდომა ვორონცოვის ძეგლთან), ვაგზალი—ჩერქეზიშვილის ქუჩა—19 თებერვლის ქუჩა (რიყე)—კახეთის მოედანი (გადაჯდომა ვორონცოვის ძეგლთან), ერევნის მოედანი—კუკიის ხიდი—19 თებერვლის ქუჩა—კახეთის მოედანი (გადაჯდომა ვორონცოვის ძეგლთან), ერევნის მოედანი—წყნეთის ქუჩა (გადაჯდომა ზემელის აფთიაქთან)

## თითო მგზავრობა ელირება სამი შაური

2) ზემელის აფთიაქი—წყნეთის ქუჩა,—კიროჩნისა—ზემელის აფთიაქი, ვორონცოვის ძეგლი—ერევნის მოედანი, ვორონცოვის ძეგლიდან ციციანთ აღმართამდე და ციციანთ აღმართიდან კახეთის მოედნამდე

## თითო მგზავრობა ელირება 9 კაპეიკი

უფასო ბილეთები, აბონემენტები და წლიური ბილეთები ღამის მოძრაობის დროს **არ გამოდგება.** მუშტაიდის სადგურიდან უკანასკნელი ვაგონი წამოვა ღავის 2 საათზე. ღამის ვაგონების საბუფერო ფარნები იგივე იქნება რაც საღამოთი. ღამ-ღამობით მოსიარულე ვაგონებს წარწერა ექნება: „ღამისა“.

## ამიერ-კავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის

დამფუძნებელნი სთხოვენ იმ საზოგადოებათ, რომელნიც მოისურვებენ კავშირში შესვლას: დააჩქარონ წინასწარი საწევრო გადასახადის (წევრებზე 25 კ.) და გასული წლის ანგარიშების გამოგზავნა. გამგეობის წევრთა შორის არჩეულ რწმუნებულებს თან უნდა ჰქონდეთ საზოგადო კრების ოქმი კავშირში წევრად შესვლის შესახებ და გამგეობის მიერ ხელმოწერილი ნდობის ქაღალდი.

რწმუნებულთა პირველი კრება დანიშნულია 14—15 მაისს. თბილისში ჩამოსულ ამხ. რწმუნებულებს სთხოვენ მიმართონ მომხმ. საზოგადოება „ალორძინებაში“. სადამოენო ქ. № 4, საქონლის სადგურის პირდაპირ. (3—68—1)

## ახალი კლუბი

**ერთი კვირის პროგრამა 1—8 მაისამდე.**

**ორშაბათი**—სინემატოგრაფი,—სეანსის შემდეგ დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.
**სამშაბათი**—რუსულ ენაზე სპექტაკლი, არტისტი სოკოლოვის ხელმძღვანელობით.
**ოთხშაბათი**—სინემატოგრაფი,—სეანსის შემდეგ დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.
**ხუთშაბათი**—ქართული წარმოდგენა.—გათავებისას დაუკრავს სამხედრო ორკესტრი.
**პარასკევი**—სინემატოგრაფი,—სეანსის შემდეგ დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.
**შაბათი**—ოპერეტკა რუსულ ენაზე.
**კვირა**—სინემატოგრაფი—სეანსის შემდეგ დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.

დასაწყისი: კონცერტებისა საღ. 9 საათზე. სპექტაკლებისა და სინემატოგრაფისა—8½ საათზე.

შესასვლელი ფასი კლუბში ჩვეულებრივია. საოჯახო საღამოს შესასვლელი ფასი მამაკაცისა 1 მ.—05 კ., მანდილოსნები და სტუდენტები (ფორმაში) 65 კ. (1—65—1)

## კვირას, პირველ მაისს, 1916 წ.

**„განათლების“ საზოგადოება მართავს ქალთა სამოსწავლო სემინარიის სასარგებლოდ სახაზინო თეატრში**

## თამარ მეფის სადღესასწაულო დილას

**შემდეგი პროგრამით:** 1) საზოგადო განხილვა თამარის მეფობისა—**მ. ჯანაშვილი,** 2) თამარ მეფის ტახტზე ასვლა (მოძრავი სურათი), 3) თამარის შესხმას წაიკითხავენ: **გრ. ნ. დიასამიძე, კნ. ეკ. ამირაჯიბი და ნიკ. დ. ერისთავი,** 4) თამარის ნადიმი მოძრავი სურათი, 5) **გრ. რობაქიძე** წარმოსთქვამს სიტყვას: „ცოცხალი ლეგენდა“. **დასასრულ აპოთეოზი.**

**დასაწყისი სრულს პირველ საათზე.**

ბილეთები იყიდება საჩაიე „ძმურს ნუგეშში“, ჯეჯილის რედ. (არტილერიის ქ. № 5) და თვით საღამოს გამგეებთან სოფ. დავ. კალანდარაშვილთან (ოლღას ქუჩა, მელიქ აზარიანცის სახლი, ტელეფონი 17—21).

## პურის მცხობლები

(მეპურეები და მეთორნეები) ხელოსნები და მუშები საჩქაროდ სჭირდებათ

## ქალაქის ფურნეში

ჯამაგირები კარგია. მიჰმართეთ ქალაქის გამგეობას ყოველდღე დილის 10—2 საათამდე, მე-4 განყოფილების კანცელარიაში. შეიძლება დედაკაცების მიღებაც.

**დოქტორი მედიცინისა**

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

**ტელეფონი, 17—21.**

**ექიმი**

## მ. დ. წინამძღვრიშვილი

**ყ. ორდინატორი ხარკოვის** უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

## ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

**ექიმი-დოსტაქარი**

## გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.


## თამარის საქართველო

მეთორმეტე საუკუნეში ქართველი ერის პოლიტიკურმა, ეკონომიურმა, კულტურულმა და სამხედრო ძლიერებამ განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია. ამ საუკუნეში **თამარ მეფის** ხანა უბრწყინვალესი ხანაა; ამ დროს ქართველი ერის ცხოველ მყოფელისა და უმაღლესი შემოქმედება მეფურის დიდებით ზეიმობს და ქართველთა მოდგმას აყვავების გვირგვინს უთხზავს.

ძლევამოსილი ლაშქრობა **თამარ მეფისა** მტერს მტერზედ ამარცხებს, ქვეყანას ქვეყანაზედ იპყრობს. არანსა და გელაქუნს მტრის დამსხვრევა; კარსა და კარნიფორზე გალაშქრება და ბასიანამდის ქვეყნის მორბევა, გალაშქრება განძისაკენ ბელაყონამდის და რახსის პირს, თამარის ჯარის გამარჯვება გიორგი რუსის, თამარის პირველი ქმრის, თაოსნობით გამოსულ მეამბოხეებზე ჯერ ჯავახეთში და მერე ქართლში, ძლევამოსილი ლაშქრობა აზრუმს კარნუ ქალაქის კართან, შამქორის დიდი ომი და სახელოვანი გამარჯვება, რუქნადინის დამარცხება, მარანდის დიდი ომი დ მრავალი სხვა. შორს განფენდა ქართველთა დიდების სხივს, აფართოვებდა საქართველოს სახელმწიფო საზღვრებს და დიდძალ ალაფსა და სიმდიდრეს ანიჭებდა.

თამარის დროის ქართველობა პირველობდა გარშემორტყმულ ხალხთა შორის და მათ თვალში განსაკუთრებული უპირატესობით იყო მოსილი. ქრისტიან ხალხთა შორის მხოლოდ ქართველი მლოცველები შედიოდენ იერუსალიმს გაშლილის ეროვნულის დროშით.

გარედ ღირსება მოსილი საქართველოს სახელმწიფო, შინაურ ცხოვრებაში მორჭმული და სვიანი იყო. მისი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ცხოვრების მაჯა ძლიერად სცემდა და სახელმწიფო კაცთა შორის დაიბადა ნათლად შეგნებული პოლიტიკური მოძრაობა, რომ დაედგათ „კარავი ველსა ჰისანისასა“, სადაც დასხდებოდნენ „განმგებელნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისა“. და რომ ამ კარავში „განგებული“ წარდგენოდა მეფეს „სრულ“ ქმნისათვის. ამგვარად მეთორმეტე საუკუნეში ქართველ სახელმწიფო კაცთა შორის იყო მუშაობა და ცდა ერთგვარი პარლამენტური რეჟიმის შემოსაღებად, თვითმპყრობელობის შესაზღუდავად.

თამარის დროის საქართველოს უეჰველი ეკონომიური კეთილდღეობა ედგა. „იყო მდიდრად ესე სამეფო, რომელ აზნაურის ყმანი მათთა პატრონთა სწორედ იმოსებოდესო, ხოლო ვინც მაინც ცხოვრებისა და ბუნებისაგან დაჩაგრული და დავლახეკებული იყო, იმაზე თვით სახელმწიფო ზრუნავდა“. საერთაშორისო დამოკიდებულებაში პატივ მოსილ, პოლიტიკურ სახელმწიფოებრივად ძლიერს და ეკონომიურად მდიდარ საქართველოში ძლიერად სცემდა „ჩოგანი“ შემოქმედებისა. საქართველოს შემოქმედების უქრობნი მნათობნი შოთა, შავთელი, ჩახრუხაძე, იმ ეპოქის შვილები არიან. დიდი და ძლიერი იყო აგრეთვე ფილოსოფიური აზროვნება. ნეოპლატონიზმს ამ დროს საუკეთესო წარმომადგენლები ჰყავდენ საქართველოში.

ასე ყოველის მხრით დიდებული იყო თამარის საქართველო და რა გასაკვირია, რომ მისი პიროვნება, როგორც სიმბოლო და განსახიერება უფლება და ძლევა-სიმდიდრით მოსილი საქართველოსი, სანუკვარი და სათაყვანებელი იყოს ყოველი ქართველისთვის, ვინც ეტრფის და იბრძვის საქართველოს დიდებული მომავლისთვის. თამარის დროიდან უფსკრულში გადაჩეხილი საქართველო მაღლა-მაღლა იწევს, რომ მიატანოს ეროვნული სიმკვიდრისა და განვითარების სანუკვარ ყოფას და კვლავინდებურად მოირთოს ღირსებითა და ძლიერებითა,—რომ სხვა სახით და სხვა ელფერით განმეორდეს და დაგვიდგეს „თამარის საქართველო“.

## სამარადისო ლეგენდა

ისტორიას სამარადისო ლეგენდები აძლევენ სახეს.

თვალუწვდენელი პირამიდა, დაკიდული წალკოტი კაცობრიობას დასასვენებელ და საამო ჰიმნად შეესმის.

იყო ქეოფსე, სემირამიდა? არავინ იცის.

ლეგენდა კი იმათ იგონებს, მათს სახელის გარშემო ჰქსოვს ისტორიის ნარნარა კანვას.

კეკლუცია ჩვენი ისტორიული ლეგენდაც—

თამარის ეპოქა.

სინამდვილე და ზღაპარი, ზღაპარი და სინამდვილე ერთმანეთს შეჰქარგვია.

მზგავსი ლეგენდა არ ახსოვს ჩვენს ისტორიას...

საამაყოა იგი.

საქართველო, მოგვითხრობს ეს ლეგენდა, უძლიერესი გახდა მის მეფობის დროს.

თამარმა აღმოსავლეთი და დასავლეთი ერთ თაიგულად გამოჰკვალთა.

დიდი ხალიფა, მეფეთა მეფენი მის წინაშე იხრიდნენ ქედსა.

თამარს ლომნი და ვეფხნი ჰმორჩილებენ.

თამარმა გააერთიანა საქართველოს დაქსაქსული ტომნი და სამთავრონი.

ძლიერი საქართველო მისი ეპოქისა მეორე იმპერიასაც კი აარსებს, ტრაპიზონისას...

ყოველი კუთხე, ყოველი წერტილი ჩვენის ქვეყნისა თამარის ხოტბას არ იშურებს.

თამარ, „წყნარი,“ „შესაწყნარი“, „ხმა ნარნარი“,—

თამარ ეს ეშვენიერების შემეცნება,

თამარ, „ცისა წყალობის მთოველი“,

თამარ, ზეშთამგონებელი, ღმერთქალი, რომლის სიბრძნემ და მშვენიერების ნაკადულმა ნარნარი სახით იწყო ჩუხჩუხი ულეგენდარეს სალამურშოთაში,

თამარ ტაძართა და ყოველ ციხეკოშკთა ამგებელი,—

დიახაც, ჩვენი ვარსკვლავია,

ცნაურებათა ცნაურება,

საკვირველება!

თამარ სიკვდილის შემდგომც კი სიკეკლუცის ალად იგზნება.

მას ყოველგან ჰხედავენ...

მის აღსასრულის მოწმენი ჰხედებიან ბარელნი და მთიელნი, თვით უცხო ტომნიც კი...

იგი ბეთლემის ვარსკვლავსავით ყველასათვის საჩინო იყო...

საკვირველება...

მისი ღვთაებრივი კუბო ვარდის ფურცელთა მაისობით აფრქვევს სურნელს.

სურნელი მათრობელა მთელს საქართველოს ჰხიბლავს, აბრუებს...

ზმანებაში გართული ქართველი ერი არ იჯერებს მის სიკვდილს...

ვერც დაიჯერებს:

უკვდავებას ვერ სძლევს სიკვდილი...

თამარი სიცოცხლითვე სინთეზი იყო ეროვნული მთლიანობისა.

აღსრულების შემდეგაც განაგრძობს სიცოცხლეს ხელთუქნელ საწეფოში—

ქართველი ერის გულში.

იგი იცოცხლებს,

როგორც სცოცხლობს ლეგენდა—სინამდვილე ქეოფსეს პირამიდისა,

როგორც სემირამიდას დაკიდული წალკოტი...

როგორც უკვდავ ლეგენდის მშვენიერება...

თვით მშვენიერების სამკაული...

თამარი,

ეს უზენაესი ზღაპარი ჩვენი ისტორიულ სინამდვილისა...

**დ. კასრაძე.**

# თამარ-მეფის დარდი

გაიხსენეთ დღენი წარსულნი
და გულის-ხმა ჰყავთ.

**ისაია წინასწარმეტყველი.**

დიდ ბედნიერებას უნდა იყოს მოკლებული ის ქართველი, რომელსაც ერთხელ მაინც არ წაუკითხავს თამარ მეფის ამბავი ჩვენს მატიანეში და არ დამტკბარა იმ ბრწყინვალებითა და შარავანდედობით, რომელიც ამ საოცარის მეფისა და ადამიანის გარშემო ყოფილა გამეფებული.

ვისაც უნდა იგემოს და განიცადოს უმაღლესი წამი დატკბობისა, სულის ამაღლებისა, ზე-აღტაცებისა და აღფრთოვანებისა, დაატანოს ძალა თავსა, სძლიოს ძველებურ ქართულის სიძნელესა და სრულის შეგნებით გადიკითხოს მემატიანეს მოთხრობა დიდებულ თამარის მეფობისა.

ბევრს რასმე მიჰხვდება ასეთი წამკითხველი, ბევრს საგულისხმოს ჰპოვებს ამ მოთხრობაში, ბევრ-გვარად ფრთები შეესხმის და ცოტა ხანს მაინც დაივიწყებს თავის ქვეყნის დღევანდელს დამცირებას, საშინელს დაქვეითებასა და დაკნინებას...

თამარ იყო უშვენიერესი და უულამაზესი არსება და ეს დიდი ღირსება, რაც სხვისთვის დიდი ბედნიერება იქნებოდა, თამარის მწუხარების წყაროდ გადაიქცა. თამარის ბრწყინვალე მეფობას თან დაჰყვა ეს კერძო ხასიათის გარემოება და დიდი ტკივილი გაუჩინა ამ დიდებულ ადამიანს გულში.

თამარ ჯერ ისევ ახალგაზდა გაამეფეს დედ-მამამ თავიანთ სიცოცხლეშივე. დიდებულთა, უმაღლეს ჯარის კაცთა და სამღვდელოთა კრების წინაშე თვით მეფემ შეჰფიცა ერთგულება ახლად გამეფებულს თავის უმშვენიერესს ასულს. კრებაც და მთლად ერიც მხიარულობდა და საზეიმო ნადიმს, უხვსა წყალობის გაცემას საზღვარი არა ჰქონდა.

მაგრამ აი გარდაიცვალა ჯერ დედა თამარისა რუსუდან, „ასული ოვსთა მეფისა, რომელი ჰმატდა სიკეთითა ყოველთა დედათა სიბრძნითა და გონიერებითა, და სიტურფითა და შვენიერებითა, რამეთუ მისებრი სძალი არა უხილავს ქვეყანასა ქართლისასა“...

შემდეგ გარდაიცვალა თვით მამაცა, მეფე გიორგი, დიდად ღვაწლ-მოსილი და მოამაგე ქვეყნისა.

თამარი თითქმის სულ მარტო დარჩა, დედ-მამით დაობლებული. მისი ნუგეში იყო მხოლოდ მამიდა—რუსუდან, სულთნის ცოლი ყოფილა, ძმის კარზე მცხოვრები და აღმზრდელი თამარისა.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ მასთან ერთად იზრდებოდა, რუსუდნის ხელმძღვანელობით, დავით სოსლანიც, შვილი ოვსთა მეფის ეფრემისა, ჩამომავლობით ბაგრატოვანთა.

ეს ამბავი, სრული დაობლება თამარისა—მოჰხდა დაახლოვებით 1184 წელს, როცა თამარი იქმნებოდა 18--19 წლისა. ერი და ქვეყანა სწუხდა, რომ სამეფო სახლი ასე უკაცრიელი იყო, მეფეს ქმარი არა ჰყავნდა და მემკვიდრე ტახტისა არა სჩანდა. უმემკვიდრეოდ დარჩენა-კი სამეფოს შეუძლებელი იყო. ეს გარემოება ჰქმნიდა დრტვინვასა და შეშფოთებასა ერსა და ქვეყანაში. მიზეზიც ეს იყო, რომ შესდგა დიდი კრება და დაიწყო გამორჩევა, თუ როგორ და ვინ აეჩინათ საქმროდ თამარისათვის, საქმრო შესატყვისი და შემსგავსებული მისის სვიანობისა და ზე-აღმატებულის მეფობისა.

ვიცით ისტორიიდანა და მატეანედან, რომ კრებამ დაასკვნა მოყვანა თამარის საქმროდ გიორგისა, რუსთა მთავრის ანდრია ბოლოლიუბოვის უნცროსის შვილისა, ძმის ვსევოლოდისაგან დევნილისა და ექსორია-ქმნილისა ნოვგოროდიდან სვიჯეს, ქვეყანასა ყიფჩაყთასა. ვიცით ისიცა, რომ თამარ მეფემ ძრიელ იუცხოვა ასეთი წინადადება და სამართლიანად მოითხოვა, დავიცადოთ, გავიგოთ მაგ კაცის სიკეთე ანუ სიდრკუეო. კრებული დიდებულთა თავისას არ იშლიდა და აჩქარებდა საქმეს.

მატიანე ამბობს, ჯვრის-წერის დღე დაინიშნა და ქორწილი გარდახდილ იქმნა კიდეცაო. მაგრამ მართალია ესა? მართალია, რომ კრებამ აიძულა თამარ შეერთო ის, ვისიც არავინ არა იცოდა რა, არც ზნისა და ჩვეულებისა, არც ყოფა-ქცევისა?! და სხ. და სხ. იქნება საქმროს ამორჩევა დადასტურებული იყო, მოყვანა რუს—გიორგისაც ეჭვგარეშეა, ხოლო დაქორწინება კი საეჭვოა, საეჭვო-კი არა, პირ და პირ უარ-საყოფელია.

ამის საბუთი ჯერ ის არის, რომ ქორწინებით ამბავი ზოგადის სიტყვებით არის მოხსენებული მატიანეში და არა ისეთის ზედ-მიწევნილობით აღწერილი, როგორც ნამდვილი ქორწილი დიდუბეში, როცა თამარმა შეირთო დავით-სოსლანი. იმ ქორწილის ამბავი არც ერს დარჩენია ხსოვნაში ისე, როგორც დიდუბის ქორწინების ამბავი დარჩა:

...„ასი ნიშა-ხარი დაჰკლეს
და ორასი სული ცხვარი“ და სხვ

და, რაც უფრო უმთავრესია, შეუძლებელია ისეთ დიდებულ მეფის იძულება არა-სასურველ ქმრის შერთვისა, როგორიც თამარ მეფე იყო. აგრეც რომ ყოფილიყო, ხომ შვილი უნდა მისცემოდა, ხოლო თამარს შვილი არ მისცემია დავითის შერთვამდე.

მართალია, სახელმწიფო ინტერესი მოითხოვდა მალე ქმრის შერთვას თამარისაგან, მაგრამ შერთვა იმისი, ვისაც უბძანებდა კრება, ყოვლად შეუწყნარებელი საქმე იქნებოდა. ჩვენის აზრით, გიორგი დარჩა მხოლოდ საქმროდ, სასიძოდ, კანდიდატად სხვათა ბევრთა შორის.

გავიდა, მართლაც ხანი, სულ ორი თუ ორ-წელიწად ნახევარი და, იქნება ნაკლებიცა, და აცხადდა შიში თამარისა. რუს-საქმროს, „დაქცევით-დასაქცევსა და წარწყმენდით წარწყმენდილსა“ შეამჩნიეს ბევრი, ყოვლად უმგვანო საქციელი, სიმთვრალე, ტანჯვა ხალხისა და მრავალი სხვა რამ, ყოვლად ულირსი ყოფა-ქცევა. ასეთი ხასიათი საქმროდ მოყვანილისა შეუმჩნეველი არ დარჩებოდა თამარს პირველ შეხედვისათანავე, იმიტომ რომ არჩევდა „ხილვითა ოდენ წრფელთა და დრკუთა, გულარძნილთა და უმანკოთა“...

გიორგის გარდა, მთხოვნელიც ხომ ბევრი ჰყავნდა თამარს, სულ მეფეთა და დიდთა მფლობელთა შვილთა შორის! ან კი ვინ არ მოინდომებდა ცოლად თამარს „ცხებულსა ღვთისასა, მჯდომსა საყდართა ზედა ზე-ამაღლებულთა, შვენებითა მით აფროდიტიანითა და სიუხვითა—მით მზეებრ აპოლონიანითა, სატურფო საჭვრეტსა ვიდრე დაბნედამდის და გაჭრა-გახელებამდის ყოველთა მისთა გამცდელმხედთა და შემპყრობელსა წყალ-ჯავარითა—მით შეუდარებელითა და სახითა—მით ღვთივ-ქმნულითა“?

ნუ თუ შესაწყნარებელია, რომ ამისთანა ადამიანი, „ღვთისა-დარი“ მეფე სავსე ყოვლითა სიკეთითა და სიტურფითა, „ხელმწიფეთა მზე და მეფეთა ელვა-ცისკროვნება“ ისე დამცირდებოდა, ისე უარ-ჰყოფდა თავის დედაკაცურს ღირსებასა, რომ ბატკანივით დასდებდა თავს დასაკლავად და ულირსს კაცს ჩააბარებდა ქვეყნისა და თავის საკუთარ ბედს?

თამარმა აიშორა ასეთი ბედი თითონაც და ააშორა თავის საყვარელ ქვეყანასაცა. არც თვითონ დაიმცირა თავი და არც ქვეყანა დაამცირებინა ულირსს კაცს. იაფად არ დაუჯდა თამარს ასეთი ბრძოლა და არა ერთი მწვავე ტკივილი გულისა უსერავდა მაღალ სულს. ამ დარდითა და მწუხარებით აიხსნება ის გადამეტებული ღვთის-მოსავობა თამარისა, რომელიც ასე დამახასიათებელია მისთვის. ღვთისმოსავი მაშინ ხშირი იყო. ყოველ წოდებათა შორის, მაგრამ თამარ მეტისმეტად იყო გატაცებული ლოცვა-მარხულობით. სამეფო კარი სავსე იყო მღვდელ-მონოზნებით და დაუცადელი და განუწყვეტელი იყო წირვა-ლოცვა სასახლეში, თითქო მონასტერიაო.

ასე გათავდა პირველი და მეორე აქტი თამარის სულიერის ტრაგედიისა. მაგრამ ბედი უბედო ამ სვე-ბედნიერს სხვა, უფრო დიდს განცდას უმზადებდა. ტრაგედიის მესამე და მეოთხე აქტი უფრო მწვავე უნდა ყოფილიყო. და აი ეს ნაწილი ტრაგედიისა მომწიფდა მაშინ, როცა თამარის მეფობის ბრწყინვალებამ მიაღწია უმწვერვალესობამდე და მის პირადს ბედნიერებასაც საზღვარი არა ჰქონდა. თამარს უკვე ქმარი ჰყავნდა, კაცი ყოვლად-ღირსეული, ფრიად შვენიერი, ვითარცა შვენის მეფეთა შვილსა, ნაკვთად კარგი, ბეჭ-ბრტყელი და პირად ტურფა, კეთილად ზრდილი და წვრთნილი, მხნე და ძლიერი, რაინდობათა და მშვილდოსნობათა უსწორო“. ჰყავნდა ძეცა, მემკვიდრე ტახტისა, რომელიც მიეცა დიდუბეში დაქორწინების შემდეგვე, რამაც დიდი სიხარული და ზეიმი გამოიწვია. მაგრამ, სწორედ ამ დროს, ექსორია ქმნილი გიორგი, დიდის შეწყნარებით და ზრდილობიანად და უხვებისა მინიჭებით გასტუმრებული ნავით კონსტანტინეპოლისკენ, გაჩნდა კვლავ საქართველოში, ჯერ ტრაპიზონ-აზრუმისაკენ, მერე კლარჯეთში, მიიმხრო მრავალნი, გამოაცხადა თავი საქართველოს მეფედ და ყოველ-მხრივ შემოუარა თბილისს, სადაც იმყოფებოდა თამარ. ერთი რაზმი მიუახლოვდა გორს, მეორე წამოვიდა მანგლისისკენ და უნდოდათ რკინის რგოლივით შემორტყმოდნენ თბილისს.

თამარი და მისი სამეფო დიდს განსაცდელშ ჩავარდა. თამარის დამარცხებას მოჰყვებოდა დაქცევა ქვეყნისა, აოხრება და განიავება დიდის ნაამაგევისა და ნაჭირნახულევისა, სიმდიდრით სავსე ქვეყნისა. ბედის სასწორი გაიწონა. თამარის ჯარი ტაშირს გაემართა და იქ დაიწყო დიდი ბრძოლა ძმათა შორის. თამარის ჯარში მრავალნი იყვნენ მთიელნი, ოსნი, ყივჩაყნი.

გაემარჯვნა დავით სოსლანს და გადარჩა ქვეყანა აწიოკებასა, ხოლო თამარ—დიდს მწუხარებასა და გულის-ტკივილს, ასე თუ ისე, მის პირადობით გამოწვეულს.

შემდეგ ამისა, გიორგი რუსმა კიდევ სცადა საქართველოს ტახტის დაბრუნება, მაგრამ მოწხრენი ვეღარ მოიპოვა და გადიხვეწა საქართველოდან სამუდამოდ.

ასე დამთავრდა ბოლო აქტი საქართველოსა და საკუთრად თამარის კერძოებით გამოწვეულის ტრაგედიისა.

შესაძლოა, ვსცდებით, როცა ასე ვაშუქებთ თამარის კერძო ცხოვრების ისტორიას, ეჭვ-ქვეშ ვაყენებთ მატიანის იმ ადგილის სიმართლეს, რომელიც შეეხება თამარის ვითომ პირველ ქმარს გიორგი—რუსს, მაგრამ, ვგონებთ, ჩვენს სათუო ფიქრს გაამართლებს დაბეჯითებული ისტორიული კვლევა-ძიება და კრიტიკის ქარ-ცეცხლში გატარება თვით თამარის შესახების მატიანისა, რომელიც საკმაოდ არეულია და რამდენისამე მემატიანესაგან დაწერილი.

ბევრს უშველის მკვლევარს ამ საქმეში დაბეჯითებით გამოკვლევა ისტორიულის ელემენტისა „ვეფხისტყაოსანში“ და პირისპირ დამხარდამხარება ამ პოემისა და თამარის ისტორიის ამბებისა.

**გრ. ყიფშიძე.**

# თამარ მეფის დღეობა დიდუბეში

თამარ მეფის დროს დიდუბე ყოფილა სოფელი, სატახტო ქალაქ-თბილისის მახლობლად, სადაც სამეფო სრა-სასახლე იყო აგებული. დრო და დრო თამარ მეფეც დიდუბის სასახლეში ცხოვრობდა. ეტყობა, ძალიან უყვარდა დიდუბეში ყოფნა, რადგან ზოგიერთი დიდმნიშვნელოვანი წუთები მისი სიცოცხლისა დაკავშირებულია ამ ადგილთან.

მართლაც, ისტორიკოსი თამარ მეფისა როცა მოგვითხრობს თამარისთვის მეორე ქმრის მოყვანას, ამბობს: „და წარვიდეს დიდებულნი ამერნი და იმერნი: და წარმოიყვანეს დედოფალი (რუსუდანი) და გაზრდილი მისი, რჩეული ღვთისაჲ, დავით, და **მოვიდეს სრასა დიდუბისასა,** სანახებსა ტფილისისასა, და მუნ ქნეს ქორწილი შესატყვისა და შემსგავსებული კელმწიფობისა და შარავანდედობისა მათისა“.. (ქართ. ცხ. გამ. ჭიჭინ. გვ. 424).

ამას გარდა გადმოცემა გვეუბნება, რომ თამარი ჰმართავდა ალლუმებს დიდუბეში, ჯარს საომრად ისტუმრებდა მას შემდეგ, როცა აქ დალოცავდა ჯვრით და შემდეგ საქართველოს სამეფო დროშას გადასცემდა ამირ სპასალარს. ზემორე თქმული შეეხება სამოქალაქო-სამხედრო ცხოვრებას; მაგრამ უფრო ხანგრძლივი და მტკიცე გამოდგა მესამე ამბავი, რომელსაც გადმოგვცემს იგივე ისტორიული გადმოცემა და რომელიც შეეხება საეკლესიო ცხოვრებას.

ეს გადმოცემა ასეთია: ერთმა მწყემსმა დიდუბის მიდამოებში იპოვა ღვთისმშობლის ხატი. ეს ამბავი მაშინვე აცნობეს თამარ მეფეს. მანაც მოწიწებით თაყვანი სცა ხატს, აუშენა ეკლესია მისივე სახელისა, და დააწესა მისი თაყვანისცემა ორშაბათობით, რადგანაც ორშაბათს იყო ნაპოვნი ხატი.

მას შემდეგ განვლო შვიდმა საუკუნემ. ის ძველის ძველი ეკლესია დაინგრა, მის ადგილს ახალი ააშენეს... ხატი ისევ იქ ასვენია, ხალხი ისევ ისე აუარებელი მოდის ორშაბათობით ამ სიწმინდისა და სიძველის თაყვანის საცემლად, როგორც ძველად.

ვინც ამ ხატის ამბავს იკითხავს, იგი უეჭველია, ხატის ამბავთან ერთად მოისმენს თამარ მეფის ხსენებასაც, რომელმაც პირველმა სცა თაყვანი ამ ხატს და ეს თაყვანისცემა ჩაუნერგა ჩამომავლობას და წესად დაუდო ორშაბათ აქ მოსვლა.

და ესეთი წესი შეითვისა არა მარტო ქართველმა ხალხმა სხვა და სხვა კუთხისამ, არამედ არა-ქართველთაც, რუსებმა, სომხებმა და სხვათ.

აი ამ ზემორე მოხსენებულის შემდეგ, მე მგონია, ყველასათვის ცხადი იქნება, თუ თამარ მეფის დღეობა რად ხდება სწორედ დიდუბის ეკლესიაში, რათ უნდა მივაკუთნოთ ჩვენც სწორედ დიდუბეს ეს დიდებული სახელი და რა კავშირი არსებობს მის ხსენებასა და დიდუბის შორის.

ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ თამარ მეფის მშვენიერი ხატი იმყოფება აქვე—დიდუბის ეკლესიაში.

ეს დღე არის თამარ მეფის დღე, ეს დღე არის აგრეთვე დიდუბის დღეც! ორივე სახელი იწვევს მოწიწებას, მოკრძალებას და ულრმეს პატივისცემას ყველა შეგნებული ქართველის გულში.

თამარ მეფე—ეს ხომ დიდუბეში მისი დიდებული ქორწილის გადახდას მოგვაგონებს, ღვთისმშობლის ხატის თაყვანისცემას ორშაბათობით!..

დიდუბე—ეს ხომ დიდებული მეფის სრა-სასახლეს წარმოგვიდგენს მშვენიერი ბაღებით გამშვენებულს ტრიალს მინდორზედ, სადაც იგი ჯარს ლოცავდა, ამხნევებდა და მტრის დასათრგუნად ისტუმრებდა!

— ეს ხომ სავანეა ძველის ძველი ხატის, რომელსაც მან პირველმა სცა თაყვანი და ჩვენც დღემდე ჩვენდა უნებურად თაყვანის ცემად გვიზიდავს ორშაბათობით!...

აი ასეთი ძლიერი, უხილავი ძაფია გაბმული შორეულს წარსულსა და აწმყოს შორის! აი ასეთი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის დიდუბეს, სავანეს მოღვაწეთა!

მას უნდა თვალის ჩინივით გავუფრთხილდეთ, მას უნდა ვუპატრონოთ, მას უნდა თავს ვევლებოდეთ! იგია ჩვენი დიდება, რადგან ჩვენი დიდებულების სახელი შენახულია იქ!

ქართველთათვის პირველი მაისიც ისეთი დიდი უქმეა, როგორც 14 იანვარი!

ჩვენი ვალია, პირველ მაისს, თამარ მეფის დღეობას, დავესწროთ სწორეთ დიდუბეში!

**დ. ნახუცრიშვილი.**

# ლეგენდა თამარზე

დიდი მოძრაობა იყო თამარის კარზე, სიხარული ძლიერი: ბასიანის უმძვინვარესი ომი დასრულდა. სულთანი რუქნ-ადინის უკმეხად შეთვლილ მუქარას ომით გასცა თამარმა პასუხი და ოთხას-ათასიანს მის ჯარს რიცხვით თუმც ბევრად ნაკლები, მაგრამ სულით ძლიერი თვისი ჯარი შეაგება.

დიდებული იყო წამი მეფისთვის თავ-გამოდებული ჯარის გასვლისა საომრად! ნათელს ჰფენდა თვალს მოკაზმულობა ლაშქრისა, კეკლუცად დარაზმულობა, სიჩაუქე და სიმარდე მეომართა, რაშთა სიმალე და აბჯართა ხვარაზმულობა.

ჯარს თვით თამარი წინამძღოლობდა. გასვლის წინ საყვარელ მეომართ სიტყვით მიჰმართა:—ჩემო არწივნო! დღეს მიგიძღვებით უდიდეს მტერზე, უდიდესზე, როგორც რიცხვით, ისევე მტრობითა, ვინაიდგან მან შეურაცხყო თავმოყვარეობა თქვენი მეფისა და მაშასადამე თქვენიც! თქვენ უნდა გასცეთ მას საკადრისი პასუხი!

— ხომ გრწამთ თქვენი ქრისტე?— ეკითხებოდა თამარი და ყოველ მის კითხვაზე ლაშქრის ერთ-ხმითი გრიალი იყო პასუხად:—გვწამს, მეფეო!

— გიყვართ თქვენი სამშობლო?

— თავს დავდებთ მისთვის, დიდებულო!

— აფასებთ თქვენს მეფესა?

— თაყვანსა გცემთ, თაყვანსა!

— მაშ გასწით წინ და დაიცავით ესენი.

— დამარცხებულნი არ დავბრუნდებით, სათაყვანებელო მეფეო!—უკანასკნელად შესძახა ჯარმა, ჰკრა ბუკსა და ნობასა, ააფრიალა დროშა მეფისა ალმითა წითელ-შავითა და დაიძრა მტრისაკენ.

და მართლაც რომ დამარცხებული არ დაბრუნებულა. ხანგრძლივი არ ყოფილა საზარელი ომი. დიდი იყო მსხვერპლი ქართველებისა, მაგრამ რუქნადინი თვისი ურიცხვი ლაშქრით მაინც ძლეულ იქმნა და დაეცა.

სასახლეში ნადიმი იყო გამარჯვებისა, უზომო მხიარულობა. ისმოდა მღერა მუტრიბთა, ქლერა ჩანგთა და ნობათთა. სმა და პურობა იყო ფირუზისა და ლალის ჰიჭა-ჯამითა.

სუფრის თავში მზე-თამარს მხარს უმშვენებდნენ გმირი სპასალარი ზაქარია მხარგრძელი, დიდი შოთა და მათ ჩამოდაღმა კარის ქალნი და კაცნი მრავალი.

დიდხანს გასტანა ნადიმმა და ქვეყანა ბინდმა მოიცვა, როდესაც ის დასრულდა. ხალხი დაიშალა.

მეფეს უკანასკნელი სტუმარი შოთა ეთხოვებოდა. თავ-დახრით იდგა მის წინ და ნების დართვას ელოდა.

— შენ დარჩი, შოთა, ცოტა ხანს კიდევ! უბრძანა მას თამარმა უფრო თხოვნის კილოთი.

— თუ თავს არ მოგაწყენ ეგოდენ დაღლილს, დიდებულო!?—მიუგო შოთამ მოკრძალებით.

— პირ-იქით შოთა! მე დავიქანცე ამ დღეებში მწუხარებით, ლოცვითა და მოლოდინით, მაგრამ ომის ქარტეხილით მოღალულ ჩემს სულს ტკბილი ენით საუბარი ეჭირვება და ტკბილ-ენაობაში ხომ შენ ბადალი არა გყავს!

— დიდია ჩემთვის შენი ეგ სიტყვა, მეფევ, მაგრამ რად მარცხვენ, რადა?—ნეტარების და თან მორცხვის ღიმილით მოახსენა შოთამ.

— კარგია, შოთა, გეყოფა ამდენი კდემა-მოსილება! შენი ძალა ხომ შენც კარგად იცი!—მხიარულად მიუგო თამარმა.—აი დავსხდეთ აქ, ამ მყუდრო კუთხეში და ვიმუსაიფოთ.

ოქსინოთი და შადით მოფარდაგებულ დიდ დარბაზში, მაღალი სარკმლის ფერადი შუშიდან ახლად ამოსული შუქმნათავანი მთვარე ჩამოიყურებოდა და ამ სარკმელთან ახლო მდგარი, ბალახშითა და ლალით შემკული ტახტისაკენ გაიწვია.

ჩუმად დასხდნენ ორივენი. თამარი ხელით ოდნავ მინდობილი მუთაქაზე, შოთა მის მოშორებით, მოწიწებითა. ღია სარკმელში ყოველი სალხინოს უტკბესი ბაღიდან სირინოზის ხმა ისმოდა და ორივენი უნებურად სულგანაბულნი უსმენდენ. ბოლოს სიჩუმე შოთამ დაარღვია:

— თავხედი მტერი დაამხე. გამარჯვებული ჯარი თაყვანისცემის ყიჟინით თან მოგყვებოდა! ბედნიერი ხარ, მეფევ, ბედნიერი!

პატარა ქულა-ღრუბელი რომ ერთი წუთით გადუფრენს მზეს და სამყაროს მის სინათლეს ოდნავ მაინც შეუმცირებს, იმ გვარად მოეღრუბლა ამ სიტყვებზე თამარს სახე და ნაღვლიანად უპასუხა:

— განა ვინ ყოფილა მომაკვდავთ შორის ბედნიერი, შოთა, რომ მე ვიყო?

— და შენ ხომ მომაკვდავზე მაღლა ხარ!

— ოჰ, არა, შენ სცდები შოთა! მეც ისეთივე ცოდვილი ვარ, როგორც ყველანი. მაგრამ დავანებოთ თავი ჩემზე ლაპარაკს. მე ამ ჟამად შენს ნაწერზე მსურს საუბარი. გონებიდან არა მშორდება! მერე შენი ნესტანი! ჩაუქრობელი ლამპრითა, ზეგარდმონიჭით ხარ, შოთა, ღვთისაგან დაჯილდოვებული! აი, ბედნიერი შენა ხარ!

შოთამ თვალები დახარა, აღელვებით ჩაფიქრდა. ფერ-მიხდილი სახე მშვენებით გაუორკეცდა.

— მე და ბედნიერი! დამცინი, თამარ, დამცინი!—მწარეთ წარმოსთქვა და ის იყო გულიდან აღმოხდა შმაგი სიტყვები: „მთლად ჩავიკლავდი, აღმოვიფხვრიდი არსებიდან ამ ჩემს ნიჭსა, ნაკუწებად ვაქცევდი ჩემს კალამს და მივცემდი ქარს, ოღონდ შენი სამოსლის კალთას ვეამბორებოდე!

მაგრამ დროზე შეიკავა თავი და ნაღვლიანად, მშვიდად განაგრძო:

— რამოდენადაც ბედნიერია ჩემი ნესტანი, იმდენადვე უბედური ყოფილა ჩემი ტარიელ! მას არ მიუქცევია ყურადღება შენი!

სიმწრის კილო იყო ამ სიტყვებში და თამარმაც იგრძნო ეს, მაგრამ მას გულზე ბნელი ამით მაინც გაუნათლდა...

— ცილს მწამებ, შოთავ! ტარიელი იშვიათი გმირია, მომხიბლავი ვაჟკაცი და ნესტანის ისეთს ხვედრს მეც შურით შევხედავდი!

შოთა შეკრთა ამ სიტყვებზე, წამოდგა ზეზე. მისდა უნებურად, გამოურკვევლად „გულს სვეტად ლხინი დაადგა!“

— მაშ კიდეც გებრალება ის, როგორც ტანჯული?!—უცებ შეეკითხა.

— დიდად!—მოჰრით მიუგო თამარმა და თვალებში შეაცქერდა...

დადუმდნენ ორივენი. მათ სიჩუმეს მხოლოდ სირინოსი არღვევდა.

— თამარ!—გაისმა ბოლოს ეს ერთი სიტყვა. მაგრამ საუკუნეთა მგოსნებს ერთად არ გამოუხატავთ მიჯნურთ შესაკმევ თვის ლექსებში იმდენი გრძნობა, რამდენიც ამ ერთ სიტყვაში გამოიხატა!—თამარ!—გაიმეორა შოთამ და ამ ერთ სიტყვაში იმდენი ვედრება გამოითქვა, რამდენიც საუკუნეთა მსვლელობაში მორწმუნეთა ღვთისადმი ლოცვა-ვედრებაში არ გამოთქმულა!

შეკრთა თამარი, ფიქრში წასული. მას მკაფიოდ მოესმა ეს ძახილი, ძახილი აბობოქრებულ გრძნობათა საშარის ძლიერებით და... გასცა მას პასუხი:

— [illegible] გულებს, შოთა, ბედი შენი [illegible] გიყვარს შენ ისინი? დამშვიდდი, შოთა, დაბძანდი. როდი უნდა აჰყვე აგრე გრძნობასა!

შოთას ნამგლები შეეკრა შუბლზე. მიუხვდა თამარს, იმტკიცა, ითაკილა, შეუბრალებელი მისი პასუხი და თავდაუჭერელმა ცხარედ მიახალა:

— გადამეტებული გაქვს, თამარ ჭკუა და მას უმონებ, ანაცვალებ შენ ყოველ სათუთ გრძნობასა!

თამარს ოდნავ გაეღიმა. დამსახურებულად მიიღო ასეთი პასუხი და ლმობიერად, უპასუხა:

— ნუ მკიცხავ, შოთა, მაგისათვის! განგებამ ასეთი ბედი მარგუნა და მეც ვემორჩილები.

— რწმენა ჩემდამი ჩემის ხალხისა,— გატაცებით განაგრძო,— უდიდესი გრძნობაა ჩემთვის ყველა გრძნობაზე! წარმავალია, შოთა, დროებითი სიტკბო! გონება ჩემი კი მიჰქრის წინ, შორს, შორს, საუკუნეთა იქით, როდესაც ვინ იცის რა დღეში მყოფი ჩემი ხალხი ერთ გვარ სულიერ ძალას იქნებ ჩემდამი რწმენაში იკრებდეს! აი, ეს ის გრძნობაა, აი ეს ის ფიქრია, ყოველ ჩემს პირად განცდათა გასაჭირში რომ მაძლევს ძალას და მასულდგმულებს! და ნუ თუ შენ, შენ უნდა მსჯიდე ამისათვის?

მის უკანასკნელ სიტყვებში, გულის სიღრმიდან ამ ამოკვნესილ საყვედურში გადაიშალა თამარის გული, როგორც ქალისა. მთელი მისი არსება, მუთაქაზე ოდნავ მისვენებული, მწუხარების უხმო ქანდაკებას წარმოადგენდა!

თავ-დავიწყებული, აღტაცებით შესცქეროდა მას შოთა და ამ წუთს ის იყო მისთვის უწმინდესი არსება არა როგორც მხოლოდ ქალი, როგორც თავდადებული მეფე მისი ხალხისა!

აქაც სძლია შოთა თამარმა!

უნებურად დაემხო მის ფეხთა-წინ მუხლზე და ვედრებით ხელი გაუპყრო:

— მაპატივე, თამარ! მე უბრალო მომაკვდავს არ მალმიძს ამაღლება შენამდე! უკანასკნელი არის ჩემგან შენთან ასეთი კადნიერება! ამიერიდან მე ვულოლიებ ერთად ერთს ფიქრს, ერთად ერთს ზრახვას, რამაც უნდა მომწყვიტოს ამა ქვეყანას და შემაფაროს მყუდროებას—შენზე ლოცვისათვის, შენს სადიდებლად!.. ეხლა კი მაპატივე, თამარ მაპატივე!

დაჩოქილ შოთას საჩქაროდ გაუწოდა თამარმა ხელი.

— ნუ ბოდიშობ მაგდენს, შოთა, არ შეგფერის შენ, მეტის ღირსი ხარ! გთხოვ, წამოდექი.

წამოდგა შოთა. უხმოდ მადლობით შეხედა თამარს.

ჩამოვარდა ხანგრძლივი სიჩუმე, რა დროსაც შოთას დანაცრილ-დამიწებული სახე და თამარის ძლიერად აბორგებული მკერდი ორივეს სულის-კვეთებას გამოჰხატავდა.

— მე გიახლებით, მეფეო! ბოლოს გაისმა შოთას ხმა და ამ სიტყვებზე გამორკვეული თამარიც ფეხზე წამოდგა.

— მიდიხარ? ჰო, გვიან-ღა კი არის. ნახვამდის, შოთა!

— მშვიდობით, თამარ!

მოწიწებით თავი დახარა. გატრიალდა კარებისკენ. გავიდა...

შოთას გასვლაზე თამარი თავისდა უნებურადმისკენ გადიხარა, ოდნავ შეტოკდა და... გაჩერდა. რამდენსამე ხანს დაჰყო ასე კარებთან, თითქო ყურს უგდებსო. ბოლოს ნელის ნაბიჯით გაემართა სარკმლისაკენ და ზედ ჯვარედინად დალაგებულ მკლავებზე მძიმე თავით დაენდო...

უცებ რაღაცა უცნაური, მოულოდნელი რამ გაისმა მყუდროებაში. შეშფოთდა სამყარო, დაირღვა დუმილი, წესი ღამისა. შესდგა მთვარე, ღრუბელთ რომ აპობდა და სისწრაფით მისცურავდა. ნისლი დაიძრა მთებიდან და დაეშვა მათ კალთებზე. მტკვარმა შეაჩერა ხმაურობა ტალღების. მწერთ განაბეს სული მინდვრად. ძილ-დამფრთხალი ფრინველნი ხის ტოტებზე მოექცნენ. შესწყვიტა სიომ ნაზი ქროლვა და ატოკებულ ზამბახს ბაღში იქვე გულზე დააკვდა. ყველა ესენი ერთმა გრძნობამ—შიშმა და გაოცებამ შეიპყრო.

რა მოხდა ისეთი? რა იყო?!

მათ ყურს მოესმა ქვითინი შეუვარებული მეფეთ მეფისა!

დიახ, ქვითინებდა, მწარედ ქვითინებდა დიდი თამარი! დასტიროდა თვისგანვე გაქვავებულ თავის გულს და ეს ტირილი არ სმენია ადამის ნაშობს, მას ისმენდა მხოლოდ ბუნება განცვიფრებული...

**ნინო ყიფიანისა**

# თამარ მეფე

**როგორც ბრძენი მმართველი და სათნოიანი ადამიანი.**

თამარ მეფე ჩვენის ხალხის მეხსიერებაში წარმოდგენილია სამეფო სიბრძნის და ადამიანურის სათნოების განხორციელებად, ამ წარმოდგენას ადასტურებს თვით ისტორიაც. ამის დასამტკიცებლად საკმარისია მოვიხსენიოთ სამი ისტორიული ამბავი თამარის მეფობის პირველის ხანისა.

### I

**დიდგვარიანის დიდებულების ამბოხება.**

თამარის გამეფებამდე ერთის საუკუნის წინ საქართველოს უზენაესი მართვა-გამგეობა რავდენისამე დიდებულთა გვარის ხელთ იყო. სხვა გვარის შვილები, რაც უნდა ნიჭიერნი და დამსახურებულნი ყოფილიყვნენ ვერ ეღირსებოდნენ დიდის თანამდებობის მიღებას. ეს გარემოება მეტად მავნებელი იყო სამეფოსათვისაც და მეფისათვისაც. დიდებულები მუდამ იმის ფიქრში იყვნენ, რომ თავიანთი პირადი ინტერესი დაეცვათ და ამიტომ ხშირად ეურჩებოდნენ მეფეს და ღალატობდნენ ქვეყანას. დავით აღმაშენებელითგან დაწყებული თამარის გამეფებამდე მეფეებმა თავიანთ ძალღონე შეალიეს დიდებულთა გვარების ასეთის უფლების დათრგუნვას და მიაღწიეს კიდეც თავიანთ მიზანს. დიდებულებმა ქედი მოიხარეს მეფის წინაშე და იძულებულნი შეიქმნენ თავიანთ უფლება და გავლენა შეენარჩუნებინათ მეფის ერთგულობით და ქვეყნის სამსახურით. რაკი ამნაირად მოსდრიკეს მეფეებმა დიდებულები, უფრო გზა გაეხსნა მეფის და ქვეყნის სამსახურის სარბიელზე გამოსვლისა მეფის სხვა ერთგულს ყმებსაც. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო ახალის და წინად სულ უცნობის გვარების გადიდებულებას. ამ სახით გაჩნდნენ ორნაირი დიდებულები: ძველის ცნობილის გვარის შვილები ანუ ეგრედ წოდებული დიდგვარიანი დიდებულები და ახლად გამოჩენილი, ეგრედ წოდებული უგვარო დიდებულები. როგორც ერთგვარი, ისე მეორეგვარი დიდებულები მხოლოდ მეფის ერთგულობით და ქვეყნის სამსახურით ცდილობდნენ თავიანთ უფლების დაცვას. მეფის უფლება და მნიშვნელობა ამის გამო მეტად გაძლიერდა.

მხოლოდ ისეთმა არაჩვეულებრივმა ამბავმა, როგორიც იყო ქალის გამეფება, დააფიქრა დიდგვარიანი დიდებულები თავიანთ დაკარგულს უფლებაზე. იმათ ფიქრით თამარი, როგორც ქალი, ვერ შესძლებდა სამეფოს მტკიცედ მართვას და ვერც იმშვენევდა მეფის განუსაზღვრელს უფლებას. ამიტომ შესაფერისად სცნეს დრო, მოეთხოვნათ თავიანთ უფლების აღდგენა.

თამარის გამეფების პირველსავე წელს დიდგვარიანმა დიდებულებმა, რომელნიც ძველს უფლებას შენატროდნენ, ხმამაღლა გამოაცხადეს, ამას იქით აღარ დავემორჩილებით უგვარო ხელისუფლებს, რადგან მათგან დაჩაგრულნი ვართო და მოსთხოვეს თამარს, რომ უგვარო მოხელეებისთვის ჩამოერთმია უმაღლესი თანამდებობანი და მხოლოდ დიდგვარიანებისთვის მიეცა. ასეთის მოთხოვნილების შესრულება მეფის უფლების დამამცირებელი და ქვეყნისთვის მავნებელი იქნებოდა. მაგრამ მეორე მხრით თამარმა იცოდა, რომ ყოველი საჩივარი არსებულის წესების წინააღმდეგ მაშინ ღებულობს საფუძვლიანობის ხასიათს, როდესაც ამ წესების გამო რამე ნამდვილი უსამართლობა ხდება. ამ მხრით მიაქცია ყურადღება დიდგვარიანთა საჩივარს და ჰპოვა, რომ უკმაყოფილოთაგან დასახელებული ორი მაგალითი უსამართლობისა ნამდვილი იყო. ამირსპასალარის თანამდებობა ეჭირა ყუბასარს, მართალია დიდად ნამსახურს და გამოჩენილს მოღვაწეს წინა დროს, მაგრამ ახლა ფილენჯის სენით შეპყრობილს და დამბლად დაცემულს. მსახურთუხუცესის თანამდებობა ეჭირა აფრიდონს, რომელიც სძულდა მთელს მის ხელქვეითს ლაშქარს, როგორც ეტყობა, უსამართლობისა ან ანგარების გამო. ორივე ეს მოხელე უგვარო დიდებულები იყვნენ. თამარმა მაშინვე ჩამოართვა მათ თანამდებობანი, როგორც შეუფერებელს ხელისუფლებს. ამ ორის თანამდებობის დაცლამ დიდებულთა შორის გამოიწვია ქიშპი. ამირსპასალარობის დაჭერის დიდი სურვილი ჰქონდა მეჭურჭლეთუხუცესს ყუთლუ-არსლანს. მან იფიქრა, რაკი თამარ მეფემ უკმაყოფილო დიდებულთა ერთი მოთხოვნილება შეასრულა, სხვა მოთხოვნილებებსაც შეასრულებსო. ამიტომ უკმაყოფილო დიდებულების მოთავეობა იკისრა, თითონ უგვარომ, და ჩააგონა მათ ისანის ველზე (ავლაბარში) დაედგათ კარავი და იქ გადაეწყვიტათ ვის რა თანამდებობა მისცემოდა. მათი გადაწყვეტილება თამარს უნდა სცნობოდა მხოლოდ ასასრულებლად. ყუთლუ-არსლანი ფიქრობდა, დიდებულები მას მიჰკერძებდნენ ამირსპასალარობას, როგორც თავიანთ მოთავეს.

თამარმა დაინახა, რომ უკმაყოფილო დიდებულების და მათ მოთავე ყუთლუ-არსლანის საქციელი ძირიანად სცვლიდა არსებულს წესწყობილებას დიდგვართა სასარგებლოდ და მეფის უფლების შესაზღუდად. ზოგის მისალებად გამართა ჩვეულებრივი ბჭობა დიდებულებთან, რომელნიც უკმაყოფილოდ არ მიმხრობოდნენ. დადგენილ იქნა ყუთლუ-არსლანი შეეპყროთ და მით ჩაექროთ ამბოხება. როდესაც ყუთლუ-არსლანი შეიპყრეს, უკმაყოფილოებმა თავი გამოიდეს და მოითხოვეს მისი გათავისუფლება. შეჰყარეს ჯარი და მიადგნენ ისანს. დიდებულები აღარ ხუმრობდნენ. საქმე ისე დატრიალდა, რომ ან შეიარაღებული შეტაკება უნდა მომხდარიყო და ამნაირად გაჩაღებულიყო შინაური ძმამუსვრელი ბრძოლა, ან თამარს ხელი უნდა აელო მის წინაპართაგან ქვეყნის სასარგებლოდ შეძენილს უფლებაზე. თამარს არ უნდოდა არც ერთი, არც მეორე. მისმა გონებამ და სათნოიანმა გულმა გამოძებნა საშუალება უკმაყოფილოთა მღელვარების ჩასაქრობად. ეს საშუალება იყო მეამბოხეებთან მოსალაპარაკებლად ორის პატივცემულის მანდილოსნის მიგზავნა. ეს მანდილოსნები იყვნენ ხვაშაქ ცოქელი და კრავ ჯაყელი. ამათ მშვენივრად შეასრულეს თამარის მინდობილობა. მეამბოხე დიდებულებმა მორჩილება გამოუცხადეს თამარს და მივიდნენ მასთან ქედმოხრილნი პატივების სათხოვნელად. თამარმა დასაჯა მხოლოდ ყუთლუ-არსლანი მით, რომ ჩამოართვა მეჭურჭლეთუხუცესობა. დაცლილს ადგილებზე მოხელეების დასანიშნად თამარმა გამართა დიდებულთა ბჭობა და ამ ბჭობის დადგენილებისამებრ დაამტკიცა ამირსპასალარად სარგის მხარგრძელი, მსახურთუხუცესად ვარდან დადიანი და მეჭურჭლეთუხუცესად კახაბერ ვარდანიძე. ამნაირად თამარმა სისხლის დაუღვრელად დაიცვა მეფის უფლება დიდგვარიანთ დიდებულთა ცდისაგან, რომ შეეზღუდათ თავიანთ სასარგებლოდ და განამტკიცა თანასწორობა გვარების სამსახურის და წარჩინების მხრით.

### II

**თამარის პირველი ქორწინება და განქორწინება.**

თამარის გათხოვებას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ერთის მხრით საჭირო იყო მემკვიდრის ყოლა, მეორედ საინტერესო იყო, გამორკვეულიყო თუ ვინ შეიქნებოდა თამარ მეფის უფლების მოზიარე და ქვეყნის სამეფო გვარის წინაპარი. დიდებულები, რომელნიც მარტოდ ღებულობდნენ მონაწილეობას ქვეყნის მართვა-გამგეობაში ძალიან დაფიქრიანებულები იყვნენ და ეძებდნენ თამარისთვის სასურველს საქმროს. ბოლოს დიდებულებმა თბილისის ამირს აბელ ასანის რჩევით გადაწყვიტეს თამარის საქმროდ მოეყვანათ რუსეთის დიდის მთავრის ანდრიას შვილი გიორგი, რომელიც თავის ბიძის ვსევოლოდის მიერ სამშობლოდგან გაძევებული ყივჩაღეთში ცხოვრობდა. მის მოსაყვანად გაგზავნილი კაცი მალე დაბრუნდა უკან და თან მოიყვანა გიორგი. გარეგნობით ყველას მოეწონა გიორგი და ამიტომ მიმართა თამარს მის მამიდის რუსუდანის საშვალებით, რომ შეერთო რუსი. თამარს კარგად ესმოდა, თუ რად ეშურებოდნენ დიდებულები მის დაქორწინებას, ისიც გასაგები იყო მისთვის, რომ დიდებულები არჩევდნენ მის საქმროს, ამიტომ წინააღმდეგი არ იყო მათ სურვილისა, მაგრამ საჭიროდ სთვლიდა არჩეულის საქმროს პირადი თვისებანი დიდებულებსაც გაეცნოთ კარგად და მასაც, რისთვისაც აუცილებლად მიაჩნდა დაცდა. დიდებულები ბევრს ცდას არ ყაბულობდნენ და ითხოვდნენ დაჟინებით ქორწინების დაშურებას. თამარი დათანხმდა და დაიწერა ჯვარი. გიორგი რუსი როგორც ქორწინებამდე, ისე ქორწინების შემდეგ პირველს ხანებში რიგიანად იქცევოდა და ყველას მოსწონდა. მასთან მშვენიერი მხედართმთავრული ნიჭიც გამოიჩინა. მაგრამ რავდენისამე ხნის შემდეგ მას გამოაჩნდა შემზარავი ნაკლულევანებანი, რომლებითაც თურმე შემკული ყოფილიყო: სიმთვრალე, გარყვნილება და სხვა უგვანო ქცევა. თამარს მეტად სამწუხაროდ დარჩა ქმრის ასეთი გამოდგომა და მოინდომა მისი გასწორება პირადის რჩევით და ჩაგონებით, მაგრამ ვერაფერს გახდა. თვითონ რომ ვერა გააწყო-რა შეუჩინა სამღვდელოება, მაგრამ ტყუილი გამოდგა ყოველივე რჩევა და ჩაგონება. მაშინ თამარმა აღარ მიიკარა თავისთან. არც ამან გასჭრა. დიდებულებმა დაინახეს, რომ მწარედ შესცდნენ, როდესაც ასეთი საქმრო თამარს ძალად თავზე მოახვიეს და ვერც თავიანთ სურვილს მიაღწიეს: მემკვიდრე არ ეყოლათ. მაშინ მათ გადაწყვიტეს თავიანთ გაფუჭებულის საქმის გასწორება. გიორგი რუსი შეიპყრეს და გაისტუმრეს კონსტანტინოპოლს იმ პირობით, რომ აღარ დაბრუნებულიყო. ბევრნი იყვნენ იმ აზრისა, რომ გიორგი რუსი დასჯილიყო სიკვდილით, მაგრამ თამარმა საშინლად იუარა ეს აზრი და ბრძანა, რომ განდევნილისთვის თან გაეტანებინათ საკმარისი ფული, რომ შესაფერად ეცხოვრა შემდეგში. ამნაირად, თამარმა სახელმწიფო ინტერესს ანაცვალა თავისი პირადი გრძნობა, როდესაც დათანხმდა გიორგი რუსის შერთვას, და გამოიჩინა დიდი სათნოება, როდესაც თავის სიცოცხლის მომწამვლელი კაცი პატივით და წყალობით გაუშვა თავისუფლად უცხო ქვეყანაში.

### III

**თამარის მეორე ქორწინება და დიდებულთა განდგომილება.**

თამარის პირველის ქმრის განდევნის შემდეგ დიდებულებმა დაიწყეს ახალის საქმროს ძებნა. საქმრო ახლაც ბევრი იყო, მაგრამ ჭკუაში არც ერთი მოსდიოდათ. ბოლოს მიაგნეს ერთს ვაჟკაცს, რომელიც თამარის ქმრობის ღირსად სცნეს. ეს იყო დავით სოსლანი, შორეული ნათესავი თამარისა და მასთან ერთად გაზრდილი გიორგი მეფის კარზე მამიდა რუსუდანის მიერ. ეს არჩევანი, უეჭველია, თამარის ხათრითაც უნდა მომხდარიყო, რადგან დავით სოსლანს თამარი კარგად იცნობდა როგორც მასთან შეზრდილს.

დავით სოსლანი ნიჭიერი მხედართმთავარი გამოდგა და თამართან ერთად შეუდგა სამეფოს მართვას. ეს ამბავი არ ესიამოვნათ დიდებულებს, რომელნიც სამეფოს მართვა-გამგეობაში თამართან ერთად მონაწილეობას ღებულობდნენ. დავით სოსლანის სამეფო საქმეებში მონაწილეობა კი, მათ უკარგავდა გავლენას. ამ გარემოებამ უკმაყოფილო დიდებულებს აფიქრებინა დავითის გაშორება თამარისაგან და ისევ გიორგი რუსის დაბრუნება. ამ აზრით გამართეს მოლაპარაკება გიორგი რუსთან. ესეც ფიცხლავ დაჰყვა მათ რჩევას და წამოვიდა საქართველოსკენ. მთელი დასავლეთის და სამხრეთის საქართველოს დიდებულები გიორგი რუსს მიუდგნენ. გიორგი რუსი მიიყვანეს გეგუთს და სამეფო სახლში გამოაცხადეს თამარის კანონიერს მეუღლედ. საშინელს მდგომარეობაში ჩავარდა თამარიც და მთელი საქართველოც. თამარი შეურაცყოფილი იყო ორნაირად: როგორც მეფე, რომელსაც ეურჩებოდა ნახევარი სამეფო და როგორც ქალი, რომელსაც მის უნებურად ართმევდნენ საყვარელს ქმარს და ძალად თავს ახვევდნენ მოძულებულს და უღირსს ნაქმრევს. მაგრამ გონიერი, აუჩქარებელი და სათნოებიანი ქალი აქაც წინდახედულად მოიქცა. ყოვლის უწინარეს დაიწყო იმის ძიება, თუ რა უნდა ყოფილიყო ასეთის უცნაურის ამბის მიზეზი. ამის გასაგებად განდგომილ დიდებულებს გაუგზავნა მოციქულები, მაგრამ პასუხი არა მიიღო რა. მხოლოდ შეიტყო, რომ განდგომილები მოდიოდნენ თფილისისაკენ. მაშინ თამარმა გამართა ბჭობა დიდებულებთან. დადგენილ იქნა განდგომილთა ლაშქრისთვის წინ დაეხვედრებინათ ლაშქარი და გაემართათ ბრძოლა. თამარი მიხვდა, რომ სხვა საშუალება არ იყო საქმის დასაბოლოვებლად. შინაური ძმათა შემმუსვრელი ბრძოლა აუცილებელი შეიქნა, რადგან საქმის მშვიდობიანად დაბოლოვება არ ხერხდებოდა. თამარი დარწმუნებული იყო, რომ სიმართლე მის მხარეზე იყო და ქვეყნის ინტერესი შებრძოლებას თხოულობდა. ამიტომ სასოებით გაისტუმრა ლაშქარი ორის გზით მომავალის განდგომილთა ლაშქრის წინააღმდეგ. თამარის ლაშქარმა გაიმარჯვა ჯავახეთში და უკუაბრუნა განდგომილნი, ხოლო განდგომილთა მეორე ლაშქარი ამ დამარცხების გაგონების შემდეგ გორითგანვე უკან დაბრუნდა უომრად.

დამარცხებული განდგომილი დიდებულები იძულებულნი შეიქნენ თამართან გამოცხადებულიყვნენ ქედმოხრილნი და პატივების მთხოვნელნი. ამისთანა მწარე განსაცდელის ამტანი თამარ მეფე ჩვეულებრივის ლმობიერებით მოეკიდა განდგომილებს, თავის პირადს შეურაცხმყოფელებს. ყველანი შეიწყალა და გაანთავისუფლა. დასაჯა მხოლოდ მით, რომ ჩამოართვა მათ უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობანი. თვით გიორგი რუსი, რომელიც თვით განდგომილებმა ხელფეხ შეკრული წარუდგინეს მას, ხელმეორედ ხელუხლებლად გაისტუმრა კონსტანტინოპოლს. ამ ამბავმა ყველანი დააჯერა, რომ თამარის სათნოება უახლოვდებოდა ღვთიურს და ამიტომ სამართლიანადაც უწოდებდნენ მას „ღვთისა სწორს“.

**დ. კარიჭაშვილი.**

* * *

დავძახოთ, ჩემო ჩანგურო, ჰანგი საამო ხმებისა,
ხალხს გავაგონოთ ზეიმი—შენი ხმა ალტაცებისა,
გადავუშალოთ საუნჯე იმ ამაყ წინაპრებისა
შენ რომ გაგთალეს, აგაწყეს, წყარო სვეს უკვდავებისა!

ჩვენს მამულს სული სპეტაკი ზეგარდმო მოვლინებია,
თითქოს აღმდგარა თამარი, გული ჩვენთვისა ვნებია,
გრძნობა-ფარული, სანუკვი—ის ყველას გულში სდებია
და აღმოზრდილა ბრწყინვალედ, ერთარსად შეგვდულებია!

მაშ, ნულარ სდუმხარ, ჩანგურო, ჟამია შენის ნებისა,
გრძნობა მორეულ სილაღით ხმა გამაგონე ქებისა,
თავდავიწყებით დავძახოთ სიმღერა ალტაცებისა,
ისევ ის დროშა ფრიალებს, ნიშანი გამარჯვებისა!

**სანდრო შანშიაშვილი.**

# თამარის ქება

მო, ფილოსოფნო,
სიტყვითა არსნო,
თამარს ვაქებდეთ გულის-ხმიერსა,
დიონოსისგან,
ვით ენოსისგან,
სრულნი ქებანი ამძლეთ ძლიერსა.
სოკრატ სიბრძნითა,
სარამაგრძნითა,
ვიყვნეთ ვერა ვიქმთ საწადიერსა,
უმიროს, პლატონ,
სიტყვა დამატონ,
თვით ვერა მიხვდნენ შესატყვიერსა!
არისტოტელო,
ბრძენთა ტომელო!
თუ რას არ შესძლებს ენა ძლიერსა?
ათინას თქმულა,
სიღრმით დანთქმულა,
ვერავინ სრულ-ჰყოფს მას მეცნიერსა.
გულის-ხმის-ყოფა,
გონება-ყოფა,
მისთანასათვის მაძებნიერსა.
ვინ გული ესე,
სიბრძნითა სთესე,
ანუ ვის ძალუძს შენგან მიერსა.
ხელ-ვჰყოფ კადრებად,
ქებად და რებად,
მჭვრეტთა ვაუწყოთ გონებიერსა.
ლაწვი მწყაზარი,
ამულ-ღაზარი,
უგაეს ელობა კრონოს ციერსა.
ნაელეებითა,
მზისა ვნებითა,
ცისკროვნად ვხედავ შუქ-მოსიერსა!
აჰა, მზიანად,
მიზეზიანად,
მთვარესა გახდი უნათლიერსა!
ვინ ჩნდა ეგ მისად,
მჰსგავსად აწ მისად,
წინასწარ-მაქმელი მისთა მთქმებელად,
თუ ვერვინ გნახის,
მით ივაგლახის,
შეიქმნებოდის განცვიფრებულად.
ვერ მრავლებისა,
გატევრებისა,
თამარ! შენ გიცნობ განცხადებულად.
ჩვენც ვჰსთქვათ: ეს რად ჰგავ?
ზეციერად ჰგავ!
შვიდთა მნათობთა დამშვენებულად.
მოუბარისა,
მის მდუღარისა,
დოლგარეთისაგან აღშფოთებულად!
ბროლისა ველსა,
თვალ-უცთომელსა,
ინდონი ცყვნის დამონებულად.
შუქნი ჰკრთებიან,
ემუქმკებიან,
ზოალი ჩინებს დაქადებულად.
ე გულის ნებო,
მზეო, ინებო,
თამარ ჰსჩანს შენად რუხსა მკლებულად.
თუ მოვანება,
გწადდეს თუ ნება?
ვისგან უფრო აქვს დამატებულად.
ვის ძოწეული,
ვარდ-გაწეული,
ლაწვი უმწყაზრობს განბრწყინვებულად.
ვინ ჰსჩნდეს სამყართს,
ალვა აყაროს,
ან თამარ ჰსჩნდების გამთავრებულად.
მეშურნეობდეს,
რად ამყვანობდეს,
რომე ვინ იყოს მოშორვებულად,
ლელწამ-ტანისა,
სარო სახისა,
მიმჰსგავსებულ-ხარ განკვირვებულად!
თავსა კლვად ჰსდებდეს,
ხვეჭით ეძებდეს,
შენსა ნახვასა მიახლებულად.
ვინ აშვენებდენ,
სულთ ამშვენებდენ,
სამონოდ მოგცენ ერთ უფლებულად.
ბნელი თუ უყო,
ელვა გაუყო,
მაშინ არ ითქმის დაბნელებულად.
მე თუ ვჰსტიროდე,
ვისლა ვჰსტიროდე,
თუ არ შენ გჭვრეტდე დადუმებულად?
დავით მხნე, ბრძენი,
რომლისა ზენი,
ხდად ჰყოფენ ზესთა წარჩინებულად.
ისვრის ისარსა,
ვიტყვი:-ის არსა!
ეფრემის ძირთა აღმორჩებულად.
ვინ ხრმლითა ბადრობს,
უშიშ-უკადრობს,
მტერთა სრვისათვის აღმართებულად.
თამარ წყნარი, შესაწყნარი,
ხმა ნარნარი, პირ-მცინარი,
მზე მცინარი, საჩინარი,
წყნარი-მქნარი, მომდინარი,
მის-თვის ქნარი, რა არს ქნარი,
არსით მთქნარი, უჩინარი,
ვარდ-შამბნარი, ბამბ-მაღნარი,
ლაწვ-მწყაზარი, შუქ-მფინარი.

**ჩახრუხაძე.**

# თამარ მეფე

დღეს თამარობაა და თუ გნებავთ—რუსთველობაც.

თამარობის და რუსთველობის შეხორცებამ დაჰბადა ის „ოქროს—საუკუნე“, რომელსაც დღესამომდე შეჰხარის ყოველი ქართველი, რომლის ცხოველობა კვლავ ძლიერია ჩვენ შორის.

შედარებით პაწია ქრისტიან ერს გარშემო არტყიან მრისხანე სახელმწიფოები.

კასპიის ზღვის იქეთი, შუაგულ აზიის აქეთვე ინდოეთის განგიდამ თითქმის კონსტანტინეპოლამდე, არან-ადირბეჟანიდამ ნილოსის მდინარემდე—ყველა ეს მიწები ემორჩილებიან აზიიდამ მოვარდნილ თურქმან-თურქ - თათართა ტალღებს. ეს ნიაღვარივით მოხეთქილი და მანამდე წარმართი ძალა ახლა შეუდგება ალლას, ბაღდადში მჯდომ ხალიფას გამოუყოფს სამოქალაქო უფლებას და ამ სახით თვითონ ხდება ფაქტიურ მეფე-მფლობელად ალლაის მორწმუნე ას მილიონოვან, თუ არა მეტ ხალხთა და ტომთა. ეს უმველებელი გაფანატიკოსებული ძალა ჰმუსრავს და ლეწავს გზად შეხვედრილ ყოველს საწინააღმდეგო ძალას. მთელი ევროპა გამოდის მასთან საბრძოლველად. ის იმორჩილებს მთელს ხმელეთს—აფრიკას, გადადის ისპანიაშიაც, აქეთი მხრით აწვება მსოფლიო იმპერიის სატახტო ქალაქ კონსტანტინეპოლსაც. ჰაერი იჟღინთება დიად ზათქითა და ზარით, ღელვითა და ბობოქრებით.

იგივე ძლიერება იმუქრება საქართველოს წალეკვას, მის მორიყვას, გაქრობას.

მოდიან უდიდესი მფლობელები...

უძლიერეს ბუდიდების და მრავალ სახელმწიფოების დამამხობელი ტოღრულ სულტანი, მალექშა, არსპ-ასლანი და სხ. ილიან საქართველოსთვისაც, ძალიან სურთ მის მამაც და თავისუფლების მოყვარე ერს მოუსპონ საკუთარი ხელმწიფება. სურთ ეს ერიც შეუერთონ მრავალ მილიონოვან ალლაის სამწყსოს. მაგრამ მათი ცდა ამაოდ იკარგება, მათ მიერ ატეხილი ხმალთა პრიალი და საბრძოლ იარაღთ ჩხრიალი ვერ ჰმონებს აღმაშენებლის, გიორგი III-ის და თამარის „მსხვილ ბარკლებიან“ და „მკლავ მაგარ“ არწივებს.

მტერი იდევნება საქართველოს ეთნოგრაფიულ მიდამოდამ, ნახევარ-მილიონოვანი მისი ძლიერება ილეწება დიდგორის ხევხუევებში და მოლათ იდევნება ამ ეთნოგრაფიულ საზღვრებიდან [illegible] მოჰყვება სა[illegible]ფავება, საზღვრის მიმჯენა კასპიის ზღვამდე, არეზამდე და მის გაყოლება არზრუმამდე და სპერით დარუბანდამდე; ეს კავკასიონის ამიერ, ხოლო მის იმიერ ოსეთითურთ „ყიფჩაღამდე და სკვითთამდე“.

რაღა თქმა უნდა, ესეთი გაფართოება და სილაღე იაფად არ უჯდებათ, არამედ მრავალ ომქრით, დიდის ჭირვარამის გადატანით, ბუმბერაზულ ღვაწლ გადახდით.

აგერ მოდის, მოღელავს მტერთა აუარებელი ლაშქარი თვით ხალიფას ოქრო-თავიან დროშით. მოუძღვება აღმოსავლეთის უდიდესი ხელმწიფე, რომელსაც თან მოჰყავს ძლიერებანი ინდოეთისა, სპარსეთისა და სხ. ლაგდებიან შამქორს, რომ შემოესივნენ საქართველოს და წალეკონ. თამარის 80,000 მხედრობა დავითის სარდლობით მიესევა მტერს „გრიგალ ქარულად“, დაჰკრავს შუაგულს, დაფანტავს, მუსრს გაავლებს... მსოფლიოს ნახევარის მფლობელი ხელმწიფე გარბის, რომ გადიმალოს სადღაც ორმოში. მისი ავლა-დიდება თვით ხალიფას დროშითურთ და მრავალი ტყვე, ცხენი, აქლემი, ცხვარი და სხ. რჩება დავითს, რომელიც დიდებით შედის ვრცელს და მდიდარ ქალაქ ბარდავს (განჯას), ჯდება იქ უწინდელ სასულთნო ტახტზე, და იმართება ზათქი და ზეიმი სპილენძ-ჭურთა, ქოსთა და წინწილათა დაკვრით... ორმოში გადამალული ხელმწიფე კი იძულებული ხდება დააშომინოს ქართველთა მბრძანებელი თავის თავის ხარკით დატვირთით. „სწრაფით მოხარკე იქმნა მოხარკე“, ვინც აქამდე ხარკს იღებდა სხვებისაგან, ახლა თვითონ შეიქმნა მოხარკე, და თანაც, წარმოიდგინეთ, ცოლად ითხოვა ქართველი ქალი!

შამქორში დამარცხება იუკადრისა იკონიარუმის ხელმწიფემ, რომელიც თავის თავს უძლეველ ბუმბერაზად სთვლიდა. მოიწერა სიამაყით სავსე ბრძანება: ჯვარ-ხატი დალეწეთ და დამემორჩილენითო, თქვენი ხელმწიფე თუ თვითონ არ მოვიდა ნებით, მე მოვალ და მაგას ხარჯად წამოვიყვანო! შეკრიბა მრავალი ძლიერება და დადგა ბოლოსტიკეს. თამარმა იწვია თვისი ლაშქარი. ვით „გროი შავარდენთა“ მოჰსქდა, მოვიდა. წაიყვანა თამარმა ვარძიას, დალოცა და გააყოლა დავითს. მივიდნენ. დაჰქროლეს შავარდენებრ, და სადღაა მტერი!

ანისი, კარისი (ყარსი), დვინი, ხლართი (ალეპო), კარნუ ქალაქი, ტრაპიზონი... ყველა დაემორჩილა ქართველთ ბასრ ხმალს. შემდეგ ხომ ამ ხმლის სიბასრე ამწვევინეს თვით არეზის გაღმა ჩრდილოეთ სპარსეთსაც თავრიზამდე. და ახლა კი ყველა დარწმუნდა, რომ „ამათებრ მობურთალნი აღმოსავლეთს არ დარჩენილან“, რომ მათი დედოფალი არის „სიუხვით ზღვებრი და სიმაღლით ცებრი“, რომ იგი „სწორად არს მზისა, კირჩიბსა ზისა“ და მას „მთა ვერად სწორავს არარატისა!“

ასეთ დიდება-სიძლიერემ აღაფრთოვანა ქართველობა. ყველა შეჰხაროდა სიუხვით ზღვებრ და სიმაღლით ცებრს. ეს ცა მეტად სანუკარი შეიქმნა. ამ ლაჟვარდოვან ცის ქვეშ მცხოვრებ მგოსანსაც სრული უფლება ჰქონდა დაემღერა კიდის-კიდემდის გასახმაურებლად:

„მშობლური ტკბილი მოწყალე
ცა, წყალობისა მთოველი!“

წყალობად მოეფინა ქვეყანას არა თუ მარტო გამარჯვებები გარეშე მტერზე, არამედ ყოველ მხრივი გამაჯრებაც შინაურობაში, სახელმწიფოს ცხოვრების ყოველს დარგში. ხელოვან მენავეთმოძღვარმა მოიკრიბა გარშემო ყოველი ნიჭი, განურჩევლათ გვარიშვილობა-ჩამომავლობისა, და სულიერადაც ააყვავილა თავისი კოხტა და ბუნებრივ შემკული სახელმწიფო და ქართველთა ოქროს-საუკუნეს ზედ დაადგა სხიოსანი კანდელი, რომელიც დღესაც გვინათებს შთამომავლობას და რომლის ძალა სამარადისოა...

**მ. ჯანაშვილი.**

# თამარ მეფე

ჩვენმა წარსულმა არ იცის პორფიროსან თამარს გარდა სხვა ქალი, რომელიც სულიერ სისპეტაკესთან ერთად გვისახავდეს მშვენიერების უმაღლეს იდეალს. ამ შეუდარებელ სულიერ სიწმინდესა და გარეგან სილამაზეს და ეთეროვანებას სარკესავით გვისახავს წმიდა დედოფლის თანამედროვე მწერლობა, რომლებიც გამოუთქმელი აღფრთოვანებით მოგვითხრობენ მის პიროვნების შესახებ.

მეხოტბე ჩახრუხაძის სიტყვით, თამარის საოცნებო მშვენიერება, მისი

ეთეროვანება და სანდომიანი სახე უძლიერესი იარაღია, იარაღი, რომელიც იმონებს ქვეყნის მბრძანებლებს, ქრისტიანობისა და საქართველოს მტრებს. ეს სილამაზე სულს უდგამს ქვეშევრდომებს და იწვევს მათ საგმიროდ და უნათებს მის სარდლებსა და მხედართ მთავრებს ძლევის გზას. ის ირთავს ქმარს სიამტკბილობისა და ხორციელი მხიარულებისთვის კი არა, არამედ მტრის თავზარდასაცემად. ამიტომ მისი მეუღლე საუკეთესო მეომარი და მისის სამეფოს დამცველია. შვილიც მას უყვარს, როგორც სამშობლოს მომავლის დიდების საუკეთესო მძევალია. თამარი საქართველოს პოლიტიკური სიბრძნე და სამხედრო დიდებაა. „თამარი, ის კი არ კმარა, რომ მარტო გვიყვარდეს, მას უნდა ვაღმერთებდეთ“-ო ამბობს პოეტი ჩახრუხაძე, და აკი მართლაც აღმერთებს მას მგოსანი თავის თამარიანში. თამარი, ჩახრუხაძის სიტყვით, ღმერთმა იშვილა, ის ღვთის ასულია. ღმერთმა ისურვა ერთის სამწყსოს შექმნა, ერთ ხელსქვეშ მთელი ქვეყნის მცხოვრებთაგან, და ამიტომ იგი დაემორჩილა თამარის ნებას და ყოველი თემი, ყველა სახელმწიფო მას დაუმორჩილა. თამარი ის აღთქმული პიროვნებაა, რომელიც ძველმა აღთქმამ უანდერძა ახალს. იგი ღმერთია. მნათობნი ბნდებიან მისი ნათელი სახის დამაბრმავებელი ბრწყინვალებისაგან. უძლურია მხატვარი და მისი ხელოვნება თამარის შვენიერების დახატვაში. (იხ. Н. Марръ. Тр. IV. თამარიანი, (VII—XII.) გვ. რდ—რლე), მგოსანთა მეფე, რუსთველი, უკვდავჰყო იმ პირ-მზე პორფიროსანმა, რომლის შვენიერს სულში ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვით, „თვით უკვდავება მდგომარეობს“ შვენიერს სულს ვერც რა სიბერე და ვერც სენი ვერ დააბერებს: და აი ამ შვენიერმა სულმა, ამ მე-XII საუკუნის განხორციელებულმა უკვდავებამ შეჰქმნა ჩვენი უკვდავი გენია—შოთა, რომელმაც მისთვის საშვილიშვილოდ ჩანგი აჟღერა. სწორედ იმ უკვდავებამ, რომელიც მხოლოდ მშვენიერსა სულში მდგომარებს ზეცამდე აამაღლა თამარის უზენაესი პიროვნება და უჩინა მას ბინა „მზის“ დასთა შორის.

ქართველი

# თამარის წყარო

ცას სახე დასწმენდოდა. მზეს აუარებელი ოქროს ისრები დაეხურებინა და ქვეყანას ბღუჯა-ბღუჯად თავზე აყრიდა. ტრიალ მინდორზე ბალახი მთლად მომწვარიყო და სიცხის ბუღი ჰაერსა ჰხუთავდა.

— დიდედო, როდის უნდა გათავდეს ეს უშველებელი მინდორი?—წამოიძახა 12—13 წლის ბავშმა, რომელსაც ზურგზე პატარა პარკი წამოეკიდნა და შუბლზე ხვითქი გადასდიოდა.

— გათავდება, შვილო, გათავდება! აბა, ამ ქვეყნად რა არ გათავებულას—გასცა ხმა წელში მოხრილმა მოხუცებულმა და გამხმარ დედამიწას ყავარჯენი მიუსვ-მოუსვა...

დიდედას ხატისთვის შეეთქვა და შვილიშვილი სალოცავად მიჰყავდა. უდაბურ ადგილში წყალი არ იყო და მგზავრებს სიცხისაგან პირი უშრებოდათ. მოხუცი ითმენდა და შვილიშვილს გულს უმაგრებდა.

— წყალი მწყურიან, წყალი!—წამოიყვირა გამწარებულმა ბავშმა.—ხე მაინც იყოს სადმე, ჩრდილს თავი შევაფაროთ!

— ცოტა კიდევ, შვილო, ცოტა კიდევ და წყალიც იქნება და ჩრდილიცა. განა შეიძლება მაგეთი საყვედურის კილოთი ლაპარაკი? სალოცავად მიდიხარ, ხატი არ გიყაბულებს... ერეკლე მეფე შენოდნობას ომობდა კიდეც, შენ კი ცოტა ხნობითაც უწყლობა ვერ აგიტანია.

— წყალი მალე იქნება?.. აბა სად არის?—შეეკითხა ახლა კი წუნარის კილოთი შერცხვენილი ბავშვი დიდედასა.

— გახედე!—გაუშვირა ყავარჯენი მოხუცმა.

შორს პატარა მწირი ზეგანი მოსჩანდა. ზედ ეკლესია გამოიყურებოდა ობლადა. გვერდით ხე ამოსდგომოდა და ახლო-მახლოს ჩრდილს აყენებდა.

— იქ არის შვილო, წყალი!.. თამარის წყარო.—უთხრა დიდედამ შვილიშვილსა.

ბავშვი ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო.

— თამარის წყაროს რათ ეძახიან, დიდედო?—ჰკითხა გაფაციცებით და სიარულს მოუკლო.

— განა არ მიამბნია?

— არა, დიდედო, არა!

— თუ აგრეა, მაშ გიამბობ.

ბავშვს სიხარულით შავი თვალები გაუბრწყინდა და შუბლზე კოპები გაუქრა. ამბების გაგონება უყვარდა. წყურვილი გადაავიწყდა და სმენად გადაიქცა.

—

ერთხელ,—დაიწყო მოხუცებულმა,—ამ მხარეს თამარ მეფემ გამოიარა თავისი ჯარით და მწირი ადგილები რომ დაინახა ძალიან ეწყინა.

— ეს ვერ კარგი, რომ ამოდენა ადგილები ასე მიცდება.—ბრძანა სულით განათლებულმა.—უნდა უთუოდ ავაყვაო, სამოთხედ ვაქციო და ჩემ ხალხს შევმატო.

დაიბარა მუშები, მიაშველა ჯარი და ეს მინდორი სულ გადააბარვინა. ვინ იცის, რა ხეხილები და ყვაილები არ დაარგვევინა!.. მაგრამ დახე უბედურობას, აკი ამაგმა ტყუილ-უბრალოდ არ ჩაუარა! წყალი ვერსაიდან ვერ მიუყენეს და ხეხილი, ყვაილები სულ გახმა.

ძალიან შეაწუხა ამ ამბავმა თამარი. ასეთი მარცხი თავის დღეში არ მოსვლოდა.

— ნეტავი რა დანაშაულობა მიმიძღვის ღმერთთან რომ ჩემზე ხელი აიღო?—ჰკითხა თავის თავს მეფემ და ცრემლები გადმოყარა.

გავიდა რამდენიმე ხანი. მოღლილმოქანცულს მეფეს ჩაეძინა და სიზმარი ნახა. ვინმე თეთრი თმითა და წვერით შემოსილი გამოეცხადა და თუ ხრა: თამარ იმ უდაბნოს მაშინ ააყვავებ, როცა შენი გულის სისხლით მორწყავო. უნდა იმ გადაბარულს ტრიალ მინდვრის ბოლოდან დაიწყო, იარო, იარო, თავში გახვიდე და ზეგანზე ფეხი შედგაო. თან სისხლი წვეთ-წვეთად უნდა გდიოდესო... მაშინ აგისრულდება წადილი, მაშინ გაჩნდება წყალიო.

გამოიღვიძა თამარმა და თავის კარის კაცებს სიზმარი უამბო. თავისი გადაწყვეტილება უთხრა.

— ეგ შეუძლებელია მეფევ!—მოახსენეს მსმენელებმა.—შენ თუ ცოცხალი აღარ იქნები შენი აყვავებული უდაბნო რაღაში გვინდა.

— არა,—ბრძანა თამარმა,—მეფემ ხალხის ზრუნვაში უნდა დალიოს სული. უნდა ავასრულო მოხუცის ნათქვამი.

ბევრი ემუდარნენ, ბევრი, მაგრამ გადაწყვეტილებაზე უარი ვერ ათქმევინეს.

მეფემ გაიპრა მკერდი, გამოიშვა გულის ძარღვიდან სისხლი და სიცხეპაპანაქებაში შეუდგა მოხუცის ნათქვამის ასრულებასა.

მიდიოდა სულით განათლებული უდაბნოში და, საცა კი გულის სისხლს დააწვეთებდა, რომელ მხარესაც კი თვალს მოავლებდა, ყველგან გამხმარი დარგული ხეები და ბუჩქები ფოთლებით იმოსებოდა. მიაღწია აგე იმ ზეგანსაც, საცა აი ის ეკლესია მოსჩანს, შედგა ზედ ფეხი და მშვენიერმა კამკამა წყარომ კი გადმოხეთქა. პატარა წყალი წამოვიდა დაბლობისაკენ, ნელნელა გაიზარდა და ახლად გაჩენილი ბაღები სულ მთლიანად დარწყო.

სისხლით დაცლილი, ღონე მიხდილი თამარი კი დაეშვა მიწაზე და მიიძინა.

ყველანი ზეგანისაკენ გაეშურნენ, საყვარელ მეფეს უნდა მიჰშველებოდნენ, მაგრამ იქ ვეღარავინა ნახეს. უფლის ბრძანებით მძინარე თამარი ცაში წაეყვანათ.

მადლობის ნიშნად ხალხისათვის თავდადებულს ადამიანს აი ის საყდარი აუგეს.

გაიარა დრომ, შვილო, და ეს ადგილები ისევ უდაბნოდ იქცა. დარჩა ნიშნად წყარო, ერთი ხე და ეკლესია... ჩვენი გვარეულობის სალოცავია, შვილო. შეგეწიოს იმის მადლი...

მოხუცმა სასოებით პირჯვარი გადიწერა.

—

მლოცავებმა წყაროს მიახწიეს.

— დიდედო, თამარმა რო გამოიღვიძოს არ მოვა?—ჰკითხა მოხუცებულს შვილიშვილმა.

— თუ კი გამოიღვიძა, შვილო, აბა რაღას მოითმენს. ხალხი ისე უყვარს, რომ უპატრონოდ თავის დღეში არ დააგდებს... იქნება შენ კიდეც მოესწრო თამარის გამოღვიძებას, მე კი შვილო საცაა საფლავში ჩავყრი ძვლებსა... დაიცა, გენაცვალე, ჯერ წყალს ნუ დალევ, ვილოცოთ! ისე უფრო შეგერგება.

ბალღი მოწიწებით შეჰყვა დიდედას ეკლესიის ნანგრევებში და ქვის ჯვარის წინ მუხლი მოიყარა.

ია—ბანი.

ქება თამარ მეფისა
(„აბდულმესიანიდან“)

თვალი ხარ ბრმათა,
თვით მზრდელი ყრმათა
მშიერთა პური, უსახლთ სართული,
მამა ობოლთა
მსაჯული ქვ'ივთა
შიშველთ სამოსლად მონიჭებული..
მოხუცებულთა,
შრომით რებულთა
სიმტკიცის კვერთხად მისაყრდნობელი.
მოგვფენ სიბრძნესა,
წერილთ სიღრმესა
თვით განვგეიმარტებ მადლთა მთხრობელი.

—

მან უცოდველმან,
ყოველთ მხილველმან
ზესთამან არსმან თვითემისამან,
მიუწვდომელმან,
დაუწყებელმან
ნათელმან ერთმან სამებისამან,
მამისა ნიჭმან,
სულისა ნიშმან
მის თანასწორად განსაზღვრებულმან—
გქმნა ცისკარ დღისა,
მთიებად მზისა
ვარსკვლავად ცისა,—თვით უბინდომან!

# ხალხური ლეგენდები
(ჩაწერილი ზ. ჭიჭინაძის მიერ)

ოსეთში ვერ ნახავთ ვერც ერთ ოსს, რომ იმან თამარ მეფეზე რამე გარდმოცემა, ლეგენდა, ან ლექსი არ იცოდეს. სხვათა შორის მათში დარჩენილია შემდეგი ლეგენდალური გარდმოცემა.

თამარ მეფის დროს, იალბუზის მთაზე, თოვლი არ მოდიოდა, იგი სანაქებოთ იყო ყველას წინაშე. თამარ მეფესაც თავის ერთი მშვენიერი სასახლე ამ მთაზე ჰქონდა გაკეთებული; სასახლეში სხვათა შორის თამარ მეფისთვის საკუთრად აგებული იყო თორმეტი ოთახი. თორმეტივე სულ გარეულის ნადირთა ძვლებით შემკობილი, ძვირფასის ხალებით და ფარჩეულობით მორთული. ამ სასახლეს გარშემო დიდი გალავანი ეკრა, გალავანში ერთი დიდი თორმეტ ოთახიანი კოშკი იყო, ერთიც სხვა სასახლე, გალავანს შუა მშვენიერი ბალახი იზრდებოდა, თამარ მეფის გარეული თხა, კანჯარი და ირმის ჯოგიც შიგვე იყო გაშვებული და ბალახს სძოვდნენ.

უმეტეს ნაწილს, თამარ მეფე ამ მთაზე სცხოვრებდა, უყვარდა აქ ამოსვლა და აქედგან მზერა ოთხ კუთხეგ. ერთხელ თამარ მეფე სხვაგან მიბრძანდებოდა, საქართველოს ადგილების დასათვალიერებლად. მალე წაბრძანდა კარის კაცებით და თავის თორმეტ ოთახიანი სასახლის მფარველად თავის გამდელი დასტოვა. გამდელს პატივს სცემდა, წაბრძანების დროს გასაღები გამდელს გარდასცა და უბრძანა ასე დავალებით:

— გამდელო, ეს გასაღებები შენ გებარებოდეს, ჩემ მოსვლამდის, შენ გააღე მხოლოდ თერთმეტი ოთახი და სუფთა ჰაერისა და მზისთვის სანათურები ღია დასტოვე. მხოლოდ გთხოვ, რომ მეთორმეტე ოთახის კარები კი არ გააღო, ეს არ დაივიწყო.

— პატიოსანი. მიუგო გამდელმა.

თამარ მეფე წაბრძანდა, მცირე ხნის შემდეგ დედაკაცს ცნობის მოყვარეობა აღეძრა მის, თუ ნეტა თამარ მეფემ მეთორმეტე კარის გაღება რათ ამიკრძალა, ნეტა იქ რა უნდა ჰქონდეს დამალულიო. სულმა ველარ გაუძლო, ვერ მოითმინა და პირველად მეთორმეტე ოთახის კარები გააღო.

ამ ოთახში თამარ მეფეს თოვლის ვარსკვლავი ჰყოლია დამწყვდეული, კარების გაღების უმალ თოვლის ვარსკვლავი კარში გაფრენილა. დედაკაცი შეწუხებულა, მაგრამ ველარა უშველია რა.

ეს ამბავი თამარ მეფეს მალე შეუტყვია, იგი საჩქაროდ დაბრუნებულა შინ, მაგრამ ვარსკვლავისთვის ველარა უშველია-რა, თამარ მეფეს დიდად სწყენია, ფიცის გატეხისათვის გამდელი დაუწყევლია.

ამ ამბის შემდეგ, მყინვარზე მუდამ წელს დიდი თოვლი მოდის ხოლმე, თოვლისაგან იკრიბება დიდრონი ზვავები, მერმე ეს ზვავი მოსარღვევათ ნელნელა ემზადება, გაზაფხულის პირზე დიდის ჰექა ქუხილით ძირს ეშვება, ვარდება და მის მეოხებით გამვლელსა და გამომვლელსაც საშინლათ ღუპავს, ბევრი უბედურება მომხდარა მისგან, ჯერ ბევრიც მოხდება.

თამარ მეფისაგან დაწყევლილი გამდელი ტარტაროზათ ქცეულა, სასახლიდგან გაქცეულა და კუდიანების დასში შერიცხულა, მათში ჩარეულა საყოველთაოდ, თამარ მეფის ჯავრი კი მაინც გულში ჩაყოლია, სამაგიეროს გარდახდა მოუნდომნია.

განვლო დრო ჟამმან და თამარ მეფე გარდაიცვალა, რამდენიმე ხნის შემდეგ დიდის გლოვით და გოდებით დაასაფლავეს ერთ ალაგას. თამარ მეფეს გარდაცვალების ამბავი ტარტაროზ გამდელს მალე შეუტყვია.

ეს გაქცეულა დროზედ, გაუთხრია თამარ მეფის საფლავი, ამოუღია და იალბუზის მთაზე წაუღია თავის სადგომ ბინასთან და ერთ ალაგას დაუსაფლავებია. ხალხის შინებია მას, რომ ვაი თუ გაიგოს ვინმემ, მოვიდეს, მოსძებნოს, იპოვნოს თამარის სამარე, ამოიღოს და წაიღოსო.

ამიტომ ამ ტარტაროზ დედაკაცს გაუკეთებინებია რამდენიმე მარმარილოს ქვა, ერთ ქვაზე დაუწერია რომ აქ მარხია თამარ მეფე, მეორეზე დაუწერია, რომ აქ არ მარხია თამარ მეფე და ასე და ამ გვარათ სხვა ქვებიც. მერე წაუღია ეს ქვები და ერთ ალაგას, სადაც თამარ მეფე არ ყოფილა დასაფლავებული, იქ მოუფენია და მით დაუბნელებია თამარ მეფის საფლავის ცნობა.

ერთ დროს ხალხს თამარ მეფის საფლავის ძებნა დაუწყვიათ, მერე მიუგნიათ იმ ადგილისათვის, სადაც მოსატყუებლათ მარმარილოს ქვები ყოფილა მოფენილი, უთხრიათ მრავალი საფლავები, მაგრამ ვერსად რა უპოვნიათ. ტარტაროზ დედაკაცს სულ უცხო ხამს ალაგას დაუკრძალავს თამარ მეფის გვამი.

ეს ხალხის გარდმოცემა არის, თორემ ისტორიით ჩვენ კარგათ ვიცით, რომ თამარ მეფე გელათში ასაფლავეია. დავით აღმაშენებლის მახლობლათ, რაზედაც ზემოთაც ვისაუბრეთ.

—

60 წლის წინედ, ერთი მოხუცი კაცი იტყოდა ხოლმე: რომ მე იალბუზის ათაზედ აველ, იქ ვნახე, რომ ეს მთა გარეთ სულ თოვლით არის მორთული, ხოლო შიგ კი მშვენიერი ქალაქია, სახლებს სულ ბროლის კედლები აქვს, იქვე არის ძვირფასად ნაკეთი კოშკები, იგინი სავსეა სულ ძვირფას საქონლით, ნადიცაც ბევრია. ერთ ალაგას ოქროს კუბო იყო, ზედ ეწერა: „თამარ მეფე“, ვნახე, შიგ ანგელოზის მზგავსი ქალი ისვენაო.

# თამარის დღე

დღეს თამარის დღეა. განათლების საზოგადოება თამარის სადღესასწაულოდ მართავს ისტორიულ დილას, რომლის შემოსავალი მოხმარდება ქართულ ქალთა სემინარიას. ამ სასწავლებელმა უნდა მოგვიმზადოს მომავალი მებრძოლნი, მუშაკნი და აღმზრდელნი ახალთაობისა, საქართველოს ამ ერთად ერთი იმედისა.

ჩვენი ისტორია მოგვითხრობს, რომ ქართველ ქალს დიდი მნიშვნელობა ჰქონია ეროვნულ ცხოვრებაში. იგი იყო ბურჯი ოჯახისა, იგი უზრდიდა ქვეყანას მხნე პატრონსა და დამცველსა. თუ არა ეს გმირული როლი ქართველის ქალისა ოჯახსა და სახელმწიფო ცხოვრებაში, ვითარ შესძლებდა გაეძლო პატარა საქართველოს და შეენახა თვისი ეროვნული სახე.

წარსულის საუკუნის დასაწყისში საქართველოს ბედი ძირეულად შეიცვალა: ქვეყნის მზრუნველობა და პატრონობა ჩვენის ხელიდან სხვა ერის ხელში გადავიდა. ასეთი ცვალებადობა გახდა მიზეზი იმისა, რომ ძირეულად შეირყა ჩვენი ცხოვრება. თითქოს ქალაქსაც დაეკარგა მნიშვნელობა ოჯახში და იმის მადლიან ხელს ძველებური მნიშვნელობა არ ჰქონდა. საბედნიეროდ დღეს ყველამ შეიგნო რა დიდი გავლენა აქვს ქალის ღვაწლს და უნარს და მის მადლიანობას ოჯახზედ და საზოგადოებაზედ. რომ უფრო მეტი მადლი გამოიღოს ქალის ღვაწლმა, საჭიროა რომ თვით ქალი—დედა, მასწავლებელი და აღმზრდელი იყვეს აღზრდილ განვითარებული მტკიცე ეროვნულ ნიადაგზედ. უამისოდ იგი ვერ შესძლებს ბრძოლას ცხოვრების სიდუხჭირესთან.

აი ამ დიდ საქმეს შეუდგა განათლების საზოგადოება, დაარსებული ამ 15 წლის წინად დიდად პატივცემულ აკ. მ. წერეთლის მიერ. მასთან ერთად ეწევა ამ მძიმე უღელს რამდენიმე მანდილოსანი. შემდეგში საქმე მოითხოვს ბევრს მუშაობას და უფრო მეტს ხარჯს. ეხლა თვით საზოგადოების ვალია აღმოუჩინოს დახმარება, და აი ვისაც ესმის ამ დაწყებულ საქმის ძალა, ვისაც უყვარს თავის ქვეყანა, ის არ დაიშურებს დაეხმაროს განათლების საზოგადოებას მით, რითაც შეუძლიან.

ს. თ.

# თამარ მეფის
## სამადლობელი ფსალმუნი,
### თხზულება იოვანე შავთელისა.

—

(ნაწყვეტი)

საქართველოს სათაყვანო დედოფალი დიდ მფარველობას უწევდა ხელოვნებასა და მეცნიერებას. დიდბუნოვან გვირგვინოსანთან შემოკრებილნი იყვნენ პოეტები და ისტორიოგრაფები, ფილოსოფოსები და მეცნიერები. ქართველი მეფის კარი თვით მუსულმან მგოსნებსაცა და მეცნიერებსაც დიდის პატივით ეპყრობოდა. ჩვენ ვიცით, რომ არაბი პოეტები თამარის ხოტბასა სწერდენ: ეს ცნობა შეუნახავს მგოსან ჩახრუხაისძეს[1]). ალ-აზნი გადმოგვცემს, რომ ჯერ კიდევ დავით აღმაშენებელს დაეარსებინა თბილისში აკადემიის მსგავსი დაწესებულება, სადაც მიღებულნი იყვნენო დიდის პატივითა და ყურადღებით მუსულმანი პოეტები, სუფიები, მეცნიერი-მქადაგებლები (იხ. M. Brosset, Additions etc. p. 241). ადვილი წარმოსადგენია ამის შემდეგ, თუ რა განსაკუთრებულის ყურადღებით ეპყრობოდა სამეფო კარი მშობლიური ხელოვნებისა და მეცნიერების აორძინებას; და მართლაც, ქართველი მეფეების განათლებულ მფარველობას არა-მცირედი ღვაწლი მიუძღვის ქართული პოეზიის იმ განსაცვიფრებელ აყვავებაში, რომელსაც ჩვენ მეთორმეტე საუკუნის მანძილზე ვხედავთ. განსაკუთრებით უნდა ითქვას ეს—თამარზე. იგი საზღაპრო დედოფალი ხომ ნამდვილი მფარველი-მუზა იყო..

საკარო ცხოვრებასთან განსაკუთრებით მჭიდროდ შეკავშირებული არის —ქართული კლასიკური ხოტბის (ოდის) განვითარება. ხოტბა, მეფეთა საქებრად „თქმა ლექსებისა ტკბილისა“—მიუცილებელი მხარე გახდა ქართველი მეფის საკარო ცხოვრებისა მე-XII-ე საუკუნეში. ყოველი მნიშვნელოვანი მოვლენა კარისა თუ სამეფოს ცხოვრებიდან—ხოტბით, „ტკბილი ლექსებით“ უნდა აღნიშნულიყო. ჩვენ, ვიცით, მაგალითად: გიორგი მესამემ ანისის კედლებთან სახელოვანი ომი რომ გადაიხადა,—მან მახარებელნი მიავლინა როგორც სამეფო კარზე—პატრიარქთან, ისე მეხოტბეთა წინაშე[2]),—ცხადია იმისთვის, რათა მეფის გამარჯვება ხოტბით შეესხათ და ჯარის საზეიმო შეხვედრაში მონაწილეობა მიეღოთ[3]).

ბარბაროსების შემოსევამ და ხანგრძლივმა ბატონობამ საქართველოს კულტურასთან ერთად—ქართული საერო მწერლობაც იმსხვერპლა. პოეზიის „კეთილი სიმდიდრიდან“ საბედისწერო კატასტროფას თითქმის არაფერი გადარჩენია „ვეფხის-ტყაოსანს“ გარდა. კერძოდ, ძველი ქართული შესხმითი პოეზიიდან, რომელიც ასე მდიდარი უნდა ყოფილიყო —სალიტერატურო ცნობათა მიხედვით,—ჩვენამდე შენახულა ერთგვარი membra disiecta: პოემა „აბდულმესიანი“ და ჩახრუხაისძის ათიოდე ხოტბა, —მხოლოდ!. ამნაირ უნუგეშო მდგომარეობაში მცირეოდენი შემატებაც სასიხარულო მოვლენაა. თამარის სამადლობელი ფსალმუნი, რომელიც დღეს პირველად იბეჭდება, ასეთ შემატებად უნდა ჩაითვალოს. იგი ეკუთვნის სახელოვან მეხოტბეს იოვანე შავთელს, რომელიც თანამედროვეთა შორის განთქმული იყო როგორც „ფილოსოფოსი და რიტორი ლექსთა გამომთქმელი“ (იხ. თამარის მეორე ისტორია, ქართლ. ცხ. გვ. 501). ვიჩქარი შევნიშნო, რომ ეს ნაწარმოები არ არის საერო ხოტბა. იგი ფსალმუნია, სასულიერო საგალობელი, და ამით აიხსნება კიდეც რომ დღევანდლამდე შენახულა იგი. მაინც ეს საგალობელი ძვირფასია ჩვენთვის, რადგან შეძლებას გვაძლევს მიახლოვებული წარმოდგენა მაინც ვიქონიოთ ამ უცნობს მეხოტბეზე[4]). ფსალმუნს ახალი შუქი შეაქვს ჩვენს ბუნდოვან ისტორიულ-ლიტერატურულ ტრადიცეებში [illegible] ამით იგი კიდევ უფრო [illegible] დება —„გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობლისანი“. მეცამეტე საუკუნის ხელნაწერი გალობათა „გამომთქმელად“ შავთელს ასახელებს. თუ როდის სცხოვრობდა ეს შავთელი, ან თუ როდის და რა პირობებში დასწერა მან „გალობანი“—ამის შესახებ საგალობელთა ტექსტი არავითარ პირდაპირ ცნობას არ იძლევა. საკითხის გამოსარკვევად საჭირო არის მოვახდინოთ პატარა ექსკურსი საქართველოს ისტორიაში. ჩვენ დავინახავთ, რომ ფსალმუნი გამოწვეულია ქართველობის სახელოვანი 1206 წლის გამარჯვებით და დაწერილი არის თამარ მეფისთვის.

ღირსსახსოვარ 1206 წელში ჩვენს ქვეყანას მეტად სერიოზული და ძნელი მომენტი დაუდგა. საქართველოს გაძლიერებით შეფიქრიანებულმა წინა აზიის მუსულმანობამ შემოიკრიბა მთელი ძალი და ლამობდა ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღო საშიშარი მეტოქისთვის. უძლიერესი მაჰმადიანთა მფლობელი იკონიის სულტანი რუქნადინ, თავისი მოკავშირეებით, საქართველოს საზღვრებისაკენ წამოვიდა და ქვეყანას წალეკვას უქადოდა.

ქართველობა ღირსეულად შეხვდა განსაცდელს. ყველა გრძნობდა მომენტის სიძნელეს, მაგრამ სულის სიმშვიდე არ დაუკარგავთ. მაგალითს ამ მხრივ თვით დიდბუნოვანი დედოფალი იძლეოდა:

„რა ესმა მშვდსა,
საქმესა შვიდსა
კელ ყო სიბრძნითა,
არ შფოთებულად“,—

ამბობს მგოსანი ჩახრუხაისძე (იხ. მეორე მესიანური ხოტბა: „ვინ სჩნდა საწმისად“). თამარის ბრძნული სიტყვა და საქმე ყველას მხნეობას ულევიძებდა.

სახელმწიფო თათბირზე—

„დაასკვნეს ომი...
წაუძღვა ლომი—
დავით, დავითის
მიბაძებულად“ (იგივე ხოტბა).

ჯარს—თმოგვის ციხემდე თვით თამარი უძღოდა. თმოგვში იგი ვარძიის განთქმულ მონასტერში მიბრძანდა და —მოგვითხრობს ისტორიკოსი—«ვარძიისა ღმრთისმშობლისა წინაშე ცრემლით შევედრა სოსლანი დავით, და სპა მისი, და დროშა მისი სვიანი და ბედნიერად მყოფი» (იხ. თამარის მეორე ისტორია, ქართლ. ცხ. გვ. 500). ჯარის გასტუმრების შემდეგ თამარი ოძრხეს ქალაქში დარჩა[5]). მწუხარებით შეპყრობილი დედოფალი—დაუცხრომელ ლოცვა-ვედრებაში ატარებდა აქ დღეებსა და ღამეებსაც. დედოფალს თან ახლდნენ—ქართლის კათოლიკოსი და იოვანე შავთელი, სახელოვანი მეხოტბე, ისტორიკოსის სიტყვით—«ფილოსოფოსი და რიტორი ლექსთა გამომთქმელი» (იხ. თამარის მეორე ისტორია, ქართლ. ცხ. გვ. 501).

ქართველებს, როგორც ვიცით, ბრწყინვალე გამარჯვება ხვდათ. მტერი ისე საარაკოდ დამარცხდა, რომ ხალხმა ეს სასწაულსაც კი მიაწერა და მიზეზად წყალობისა ჩასთვალა ღვთის მშობელი, თამარმა რომ **ვარძიაში** ქართველი მხედრობა და სამეფო დროშა შეავედრა[6]).

გამარჯვებულ ჯარს თამარი ვარძიაში შემოეგება. მემატიანე ამას ასე მოგვითხრობს: „ესრეთ მხიარულითა პირითა სახელგანთქმულნი [დავით სოსლანი და მისი მხედრობა] მოვიდეს ვარძიას, თვით თამარიცა მივიდა [ოძრხეს ქალაქიდან] და **ჯეროვანი მადლობა** შეწირეს» (იხ. თამარის მეორე ისტორია, ქართ. ცხ. გვ. 508).

როცა მემატიანე სწერდა სიტყვებს —„ჯეროვანი მადლობა“, მას—ვფიქრობ—მხედველობაში ჰქონდა ჩვენი ფსალმუნი, აგონდებოდა „სამადლობელი“ გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობლისანი. მაინც და მაინც ეს კი ცხადია: ჩვენი ფსალმუნი დაწერილია იმ სამადლობელი ვედრებისათვის, ვარძიაში რომ გადახდილი იქნა რუქნადინზე გამარჯვებისა გამო. თამარმა და მისმა მხედრობამ ამ საგალობელით აღუვლინა **ჯეროვანი მადლობა** მფარველ ღვთისმშობელს.

---

1) იხ. ჩახრუხაისძის „თამარიანი“, ხოტბა VII (შეუდ. ხოტბა VIII). რუსის მეცნიერის ნ. მარრის ცნობილ გამოცემაში VII ხოტბა ვერ არის სწორედ აღდგენილი.

2) ანუ როგორც მაშინ ამბობდენ—„ფილოსოფოსთა“ (ანუ „რიტორთა“) წინაშე,

3) იხ. ისტორია-აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება ე. თაყაიშვილის გამოცემა გვ. 374. „ქართლის ცხოვრებას“ ქვემოთ ყველგან ბ-ნ თაყაიშვილის გამოცემით ვუჩვენებთ.

4) **ვამბობ უცნობს,—რადგან მისი იგივეობა „აბდულმესიანის“ ავტორთან მეტად საეჭვოა.**

5) ოძრხე—ეხლანდელი აბასთუმანია.

6) «განკვრვებულ ვარ—ამბობს მემატიანე—თუ ვითარითა წყალობითა მოხედა სამკვდრებელსა თჳსსა ღმერთმან და **ვარძისა ღმრთისმშობელმან**, ვითარ უვნებელად დაიცვა... მისი შევედრებული ერი ქართველთა...»; მეორე ადგილას იგივე მემატიანე ამბობს: „განადიდა დიდება დავითისი და თამარისი **ვარძისა ღმრთისმშობელმან** და ანასდათ ეგოდენი სიმრავლე (მტრისა) იძლია და დაიფანტა...“ (იხ. თამარის მეორე ისტორია, ქართლ. ცხ. გვ. 504).

საკმარისია გადაიკითხოს მკითხველმა თვით საგალობლის ტექსტი და შეუფარდოს იგი ზემოდ გადმოცემულ ისტორიულ ფაქტებს, რომ დარწმუნდეს ჩვენი მტკიცების სინამდვილეში. „გალობანი“ — სამადლობელი ფსალმუნია; მეფე და ქართველი მხედრობა, აფრთოვანებული საშინელი მტერის დამარცხებით,-„ზღვის გამპობი ებრაელთა დასის მსგავსად უგალობს“ **ვარძისა ღვთისმშობელს** «თანანადებსა სამადლობელსა». ფსალმუნის „გამომთქუმელი“, როგორც ვიცით, იოვანე შავთელი არის, მაგრამ ფსალმუნი დაწერილია არა ავტორის, არამედ მეფის პირით, ცხადია, რომ თვით თამარისათვის [7]).

იოანე შავთელი იმ ხანად თამარის ამალაში იმყოფებოდა და ვარძიაში გადახდილი **ჯეროვანი მადლობის** მონაწილე იყო (იხ. თამარის მეორე ისტორია, ქართლ. ცხ. გვ. 501,507,508). ჩვენ ვიცით—თამარი თითონაცა სწერდა ლექსებს [8]), მაგრამ სამადლობელი ფსალმუნის დაწერა მას უბრძანებია—„ფილოსოფოსი და რიტორი ლექსთა გამომთქმელის“ შავთელისათვის, სჩანს—როგორც კარის პოეტისთვის. ხოლო თვით შავთელმა კი მეფისაგან ნაბრძანები ფსალმუნი დასწერა არა როგორც მხოლოდ კარის მგოსანმა, არამედ როგორც აფრთოვანებულმა მამულიშვილმა..

სამადლობელი ფსალმუნი საეკლესიო საგალობელი არის, და ეს გვახსოვდეს უნდა, როცა ვკითხულობთ მას. საეკლესიო საგალობლების სტილი ამ დროს ერთხელ და საბოლოოდ გამომუშავებული და დაკანონებული იყო. საგალობლის განსაზღვრულ ადგილებზე მიღებული იყო ხოლმე გრძელი ღვთისმეტყველური განყენება, თვითეული მუხლი უნდა დამთავრებულიყო ერთხელ მიღებულის მიმართვით, განსაზღვრული იყო თვით ენა, ეპითეტები.. ჩვენი პოეტი ნებაუნებლიეთ უნდა დამორჩილებოდა ამ გაყინულ ნორმებს, რაც ფსალმუნის წმინდა პოეტურ მხარეს დიდად ვნებს. მაგრამ მაინც ამ ცივ სამონაზვნო სამოსელშიაც არ გამქრალა მთლად პოეტური ვნების სიცინცხალე. ფსალმუნი არ არის მოკლებული ლირიულ პათოსს.

შავთელი, როგორც კარის მგოსანი, უნდა ვიფიქროთ—საერო ხასიათის ხოტბასაც უძღვნიდა ქართველობის სახელოვან გამარჯვებას. სამწუხაროთ, ჩვენამდისინ არ მოხწეულა არც შავთელისა და არც რომელიმე სხვა მგოსნის ამგვარი ნაწარმოები,—გარდა ერთისა. ეს ერთი შემთხვევით შემონახული ნაშთი—არის ჩახრუხაისძის მეორე მესიანური ხოტბა („ვინ სჩნდა საწმისად...“), საიდანაც ამოვიღეთ ზემოთმოყვანილი ლექსები. რეალიები ამ ხოტბისა არავითარ ეჭვს არ სტოვებენ, რომ ეს შესანიშნავი ქმნილება რუქნადინის ურდოებზე გამარჯვებით არის შთაგონებული და თანადროულია თამარის სამადლობელი ფსალმუნისა [9]).

ღიად ვტოვებთ მეტად მნიშვნელოვან კითხვას—რომელზედაც მკითხველი იქნებ კიდეც ელოდა პასუხს: არის თუ არა ჩვენი ფსალმუნის იოვანე შავთელი და „აბდულმესიანის“ ავტორი ერთი და იგივე პირი. ამ რთული საკითხის ჯეროვანი გაშუქება დღევანდელს მოკლე საგაზეთო შენიშვნაში ყოვლად მოუხერხებელია, რისთვისაც ამ საგანზე საუბარს სხვა დროისათვის გადავდებთ [10]).

ჩვენ დაგვრჩენია ორიოდე სიტყვა ტექსტის გამოცემის შესახებ.

სამადლობელი ფსალმუნი დაცულია სამს ხელნაწერში: გელათისაში (A)—მეცამეტე საუკუნისა, ქართულ საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერში № 518 (B)—მეთვრამეტე საუკუნისა და ქ. შ. წერა-კითხვის გ. ს. წიგნსაცავის ხელნაწერში № 379—მეცხრამეტე საუკუნისა. გელათური ხელნაწერი—ეტრატისაა. ხელნაწერს ბოლოში დართული აქვს ზანდუკი და სამადლობელი ფსალმუნის შესახებ აღნიშნულია (დედნის ხელით): „თქუმულნი შავთელისნი“. B და C ხელნაწერებში ფსალმუნი წარუწერელია.

ფსალმუნი B ხელნაწერიდან იბეჭდება. გამოცემაში დავიცავით ძველი ქართული მართლწერა. ხელნაწერის ვულგანიზმები მართლწერის მხრივ,—შევასწორეთ კლასიკური ნორმების მიხედვით.

ფსალმუნი შემოკლებით იბეჭდება (მხოლოდ მესამედი: 32 ხანიდან 11 ხანა). გამოშვებულია ღვთისმეტყველური ადგილები, რაც უფრო ძნელი გასაგებიცაა ფართე პუბლიკისათვის და ნაკლებადაც საინტერესო. ამოკრებილი ადგილები, ვფიქრობ, მაინც მთლიან შთაბეჭდილებას იძლევა. ფსალმუნის სრული და კრიტიკულად დადგენილი დედანი მოთავსებული იქნება საქართველოს საისტორიო - საეთნოგრაფიო საზოგადოების უახლოეს გამოცემაში.

პ—

[7]) მხოლოდ უკანასკნელს ტაეპში არის მოხსენებული „გამომთქუმელი“, ისიც მესამე პირით. ავტორი მოხსენებული არის აგრეთვე კიდურწერაში „ვინმე მგალობელის“ სახით.

[8]) იხ. ისტორია-აზმანი შარავანდედთანი (ქართლ. ცხ. გვ. 472): «მიზეზად ძლუნისა შემწირველობისა და მვედრე[ბე]ლობისა ამანცა (ე. ი. თამარმან) ესე ვითარად ესე იანბიკო ხუთეული ოც და ხუთ ლექსად აღწერა». ეს იამბიკო არის—„ცასა ცათასა“ (იხ. ქართ. ცხ. გვ. 472—473). საკვირველია, ამ ცნობისათვის ყურადღება არავის მიუქცევია.

[9]) აქ დავასახელებ ხოტბაში ნახსენებს ერთ ისტორიულ ფაქტს. ხოტბის ეპოდოსში მოხსენებული არის ერზინკანის (ეზინაკის) მფლობელი, ტყვედ წამოყვანილი დავით სოსლანის მიერ. ერზინკანის ამირა ფახრ ადდინი ტყვედ წამოყვანილ იქნა სწორედ ბოლოსციხის ომში (1206 წელს). ამას თანხმობით გადმოგვცემენ—არაბული წყაროები, ლაშა გიორგის დროინდელი ქართული ქრონიკა—ეხლახან აღმოჩენილი ანა დედოფლისეულს ქართლის ცხოვრების ვარიანტში, და თამარის მესამე ისტორია—შეტანილი ექსცერპტების სახით ვახტანგისეულს ქართლის ცხოვრებაში.

[10]) შეუდარეთ მაინც სქოლიო 4.

გ ა ლ ო ბ ა ნ ი

## ვარძიისა ღმრთისმშობლისანი

*
* *

ზეცით მოჰმადლე
  ენასა ბრგუდ მეტყუჱლსა
სიტყუაჲ სიბრძნისაჲ, დედუფალო, რამეთუ
თანანადებსა
  ამას სამადლობელსა
  დიდებათა შენთასა—
ისრაელისა ზღჳს განმპებთა მათ
  დასთაებრ გიგალობთ.

ახალმან გზამან,
  აღზღუდვითა წყალთაჲთა—
ნივთთ-მფლობლობისა ღმრთისაგან გამოსახვით,
გჳჩუენა უცხოჲ
  ედემისა გზაყოფაჲ
  ლალისა მის მდოვრისაჲ,
ოტებულთა შენ მიერ, ქალწულო
  ზეშთა კურთხეულო.

*
* *

თავადი ღმერთი, სიმართლისა მშჯავრითა
ამის სოფლისა კიდეთა მმართებელი,
და-რაჲ-ემკჳდრა შენ შორის,—მოსცა ძალი
აღმსარებელთა თჳსთა
   კადნიერებით
ათასეულსა მგმობართასა მიდრეკად.

«ეგერა მშჳლდი ძლიერთაჲ მოუძლურდა
ბანაკისა მის სპარსთა და მიდელთაჲსა,
არაბთა განქფდა ძალი საჭურველისაჲ,
და უძლურთა შეირტყეს
   შენ მიერ ძალი»—
ეტყჳს*) მჴედრობაჲ მადლობით უბიწოსა

*
* *

აწ განვისუჱნო
  დღისა მის წილ ჭირისა
აღსლვასა ჩემსა და მრე სახობისაგან
ქალდეველთა მათ, პართთა და სომეხთაჲსა,
აგარის ტომთა
  ლეგეონი მოიშთო
წყლითა ოხათა შენთათა, დიდებულო.

ულმობელ იყო
  ლოდები პრეტორისაჲ,
ეცრუა საქმე წყალობისაჲ ნაშობთა
ბუგდუზიანთა, ქურდთა და უცხო თესლთა,
ისარნი ნათელ,
  საჭურველი ელვარე—
აღცრად კორანსა ჯუარი და მოციქულნი.

შეედვა ძრწოლაჲ
  ერსა აღბორგებულსა,
მოაკლდეს მათნი ცხოვარნი სამწყსოჲსაგან,
არა იცნა რაჲ კარმან კმაჲ, ვირმან ბაგიაჲ,
ეკლესიისაჲ
  რქაჲ ამაღლდა და განვრცნა
თმოგჳსა შორის ტაძარი დედუფლისაჲ.

*
* *

ულუმპიანი მძლეობაჲ მოგჳჱნიჭა,
ლახუარი მკდომთაჲ და ფარები შეიფქუა,
ირემთა სრბითა განმტკიცნეს ტყუჱთა ფერკნი,
ეტინეველთა ალი აღედვა ურჩთა,
რისხვით დაემკუნეს საყდართაჲთ ურწმუნონი.

იძლევის ბრძნეთა მეტყუჱლებაჲ, და ვითარ
სთქუ, ღრმთისმშობელო,—ზეცისა წესთა თანა
აჰა გნატრის შენ ყოველი თესლები და
ტომნი კაცთანი, რომელთათჳს გიკმობ შენ:
ყვენ მშჳლდ რვალისა მკლავნი ჩემნი მარადის.

უჩინოთაგან მღვმეთა სოფლისათა
ექსორიობაჲ ჩემი აღმოიყვანე,
ორბებრ განახლდი სიჭაბუკე სულისაჲ,
ბრალთაგან მიკსენ ძლიერმან, დიდებულო,
ინებე ყოფად ჩემ შორის, უბიწოო.

საგალობელთა ამათ შესხმათა მიერ
ადიდებს სული ჩემი შენგან შობილსა,
გალობს ტაძარი შენი, ყოვლად უხრწნელო,
ადამის კსნაო და ევაჲს აღდგომაო.

—

ნიჭად მოჰმადლე შენდობაჲ გამომთქუმელსა.

**იოვანე შავთელი.**

1206 წ.
ვ ა რ ძ ი ა.

*) „თამარ მეფის ჯარისათჳს იტყჳს“—სქოლიო C-ხელნაწერისა (მერმინდელის ხელით).

# ჲ, თამარ!

(ნაწყვეტი)

დედაკაცს მეფეს თუ რა ძალუძს ამცნე შენ კაცებს,
მაგრამ დედაკაცს, ჲ თამარ, გვირგვინსა გვტაცებს
ძალა უხეში, უტიფარი—მეფობას ლამობს;
—დედაკაცს მეფეს არ ვიწამებთ!—ბრბოც აგრე ამბობს.

და... მეც ამორძალს, იმათ უნდათ, ცხენი წამართონ,
დამსვან კუთხეში, ნემსითა და ძაფით გამართონ...

**ბაბილინა.**

# თამარ მეფე

მის სულს ჩემს გულში ვატარებ.

ვხარობ, ვამაყობ, ნება გაშლილი მივილტვი მისკენ.

ის ხომ ჩვენია!

ჩვენი დიდება, სილამაზე ერის, შავარდენი სიყვარულისა.

ჩვენი მიზანი გაწრთვნა-აღზრდისა, თავისუფლება გულის და სულის.

ჩვენი ხატება, ფიქრი და აზრი, განცდა და ზრახვა.

მეც განვიცდი თამარს, ვინაიდან ვგრძნობ მთელი ჩემი არსებით, რომ ქართველი ვარ.

ქართველი თამარის სუნთქვით.

ქართველი თამარის წარსულით.

რას მიქვიან გოდება, მწუხარება.

არც მაფიქრებს მომავალი ქართველისა.

ვიცი, რომ უკვდავია ის ერი, ვინც წარმოშვა დიდებული თამარი.

ვიცი და მჯერა; მჯერა ინათებს, დადგება ჟამი და ქართველი ერი ძლევამოსილი თამარის სულით იგრძნობს დიდებას, ბედნიერებას!

**ჯუანშერ.**

# მაისობა

(წარსულის წარმოდგენა)

ჯერ რიჟრაჟს კარგად არ ჰქონდა შუქი გადგმული თბილისის ქალაქის ვიწრო ქუჩებში, ბინდ-ბუნდი იყო განთიადისა, მაგრამ მცხოვრებნი უკვე ფეხზედ იყვნენ; დიასახლისნი ფუსფუსობდნენ, ემზადებოდნენ, ბაშვებსა რთავდნენ, თვით ირთვებოდნენ, საუზმეს მცირეს ხელსახოცებში ჰკრავდნენ და სიცხის შიშით ადრიანად ემზადებოდნენ დიდუბის ველზედ გასამგზავრებლად.

ქალაქიდგან კარგა გზა იყო სავალი და ყველა ჩქარობდა დროზედ იქ მისვლას, დიდ მოედანზედ საუკეთესო ალაგის დაჭერას. დღეს ჩვეულებრივი გაზაფხულის აღლუმი იყო და აღლუმის შემდეგ ლხინი, ჯირითობა, ბურთაობა, ჭიდაობა, კრივი და სხვა ასპარეზობა. მეფე თამარი მეთაურობდა, როგორც ჯარის ვარჯიშობას, ისე ხალხის ლხინს, ვაჟკაცთ შეჯიბრებას ბურთის ლელოზედ გასატანად.

წინა ღამეს ავდარი იყო და გადარეცხა არე-მარე, გაასპეტაკა მინდორი-ველი და მწვანით მოსილ დიდუბის გარშემო აკოკრებულ გორებს ღაღანი დააწყებინა. მტკვრის ნაპირები ვარდ-შაბნარით გაბარდნული დილის სიოზედ მტკვართან ხმა შეწყობილად მდოვრად ღელავდა და დუდუნებდა და სურათის სივრცის მშვენიერებას აათასკეცებდა.

ხალხი კი სდუმდა, წყნარად და ჩუმად იკრიბებოდა ვრცელ მინდორზედ ბინას ირჩევდა, რომ საუკეთესოდ დაენახა, რაც მოხდებოდა. ჯგუფ-ჯგუფათ იდგნენ ტურფა ასულნი, კეკლუცათ რთულნი, აღელვებულნი და მშვენიერნი. მათ გარეშემო ვაჟნი ვეშაპნი დატრიალობდნენ, თვალს წყალს ასმევდნენ, თან შაირობდნენ, ლექსაობდნენ და ღიღინებდნენ.

მინდვრის გარშემო შორით მოსულთა ჩარდახიანი ურმები იდგნენ, დარახტულ ცხენებს მეჯინიბენი არონიებდნენ.. აქა იქ ბავშვნიც ონავრობდნენ, ჭყივილტირილით, სანახაობის დაგვიანების გამო, მოუთმენლობას აცხადებდნენ.

მშვენიერი ბრწყინვალე დილა იყო, ოდნავი სიო ასკილთ ბუჩქთაგან მოტაცებულ სურნელობას უხვად აბნევდა. გაზაფხული სრულქმნილი ღვთისგან კაცის ბუნებას ნეტარებას ნექტარს ასმევდა, ამთვრალებდა.., აფუფუნებდა.

მინდვრის თავში აღმართულ ეკლესიის სამრეკლოდგან ზარმა დაიწკრიალა და ნეტარების სასოებაც დაუმატა, აღაფთოვანა.

დღეს თვით კათალიკოზი იყო მწირველი. დუნდგო შეინძრა, გუგუნი მორთო, მიიწ-მოიწია, ფრჩხილებზედ შესდგა: „თამარი მოდის! თამარი მოდის ყველა ერთმანეთს უზიარებდა და ბოლოს ერთხმივ ყველამ შესძახა: „გაუმარჯოს, გაუმარჯოს ბატონ თამარს! გაუმარჯოს! დღეგრძელი **მეფეთ მეფე** ჩვენი თამარი!“ და ეს კიჟინი სიხარულისა და თაყვანების ხანგრძლივი იყო ვით გრიალი, რუხ-რუხი გაზაფხულისა **ჰექა-ქუხილის.**

მეფე ლამაზი, ეშხით სავსე, ბრწყინვალე მეფე პირმოცინარი, სათნო თამარი ყველას სალამზედ პასუხს აძლევდა: თქვენც გაგიმარჯოთ, თქვენცა! თქვენც გაგიმარჯოთ.

წირვის შემდეგ კათალიკოზმა აიაზმა ხალხსა ასხურა, ჯარს ჩამწკრიებულს და დარაზმულს ლოცვა-კურთხევა უთხრა. შემდეგ კურთხევის, მეფე თამარი დიდებულთ ხლებით შუა მინდორზედ აგებულ ტახტზედ ზენა ავიდა: და იმისი წინ ჯარი რაზმებად მწყობრად დაიძრა და მხედართ-მთავარის წინამძღოლობით ვარჯიში იწყო, ბუკის ყვირილით, ნაღარის დაკვრით დიდებულ მეფის დიდებული ჰიმნ-სიმღერით მან გაიარა მთელი მინდორი. ხალხმაც ხმა მისცა ჯარს სახელოვანს მეფის ქებაში და დიდუბე, ეს დიდი უბე, ფართე მინდორი მძლავრი ყიჟინით, ხალხის ზეიმით თითქოს შეინძრა, თითქოს გაცოცხლდა, მოძრავად იქცა!

აღლუმის შემდეგ, მეფის ბრძანებით ჯარი დაირღვა, ხალხს ჩაერია და მათთან ერთად ლხინს მიეცა, ქეიფი, მოჯირითეთა აბჯართ ჩხრიალი, მობურთაოვეთა ჟივილ-ხივილი, ზურნადუდუკი, დაფ-ნაღარა, თამაში, ცეკვა ერთმანეთს სცვლიდა და ყველას მეფე, მეფე სვიანი და საყვარელი თვალს ადევნებდა. გამარჯვებულებს აჯილდოებდა ოქროს თასებით, ძვირფასის ბეჭდით, ან აზარფეშით ჩუქურთმიანით.

ძალზე ჩამოცხა, მაგრამ გართული ხალხი, დუნდგო არას იმჩნევდა, გატაცებული საერთო ლხინით თითქო დაითრო და ზეიმობდა აღტაცებული...

უცებ ხმა შეწყდა, მსწრაფლად შეჩერდა მხიარულება და გაოცებამ შეიპყრო ერი. შორიდგან ვიღაც გამოჩნდა, ჭაბუკი ვინმე ცხენით მოჰქროდა და თან ჰაერში თეთრს რაღასაცა აღავივითა აფრიალებდა. ხალხი ჩამოდგა და გზა გაუხსნა მერანზედ მჯდომსა და ისიც სწრაფად მეფის ტახტთანა ცხენით ჩამოხტა, ტახტის კიბეზედ მუხლი მოიდრიკა აღელვებით, აღელვებულს მეფეს მშვენიერს შემდეგი უთხრა:

— მტერი გარს გვივლის, გვიმზადებს საფრთხეს, საჩქაროდ ჯარი უნდა შევკრიბოთ და გავემართნეთ ღართის კარებით“.

— მტერი გარს გვივლის? საიდგან, ვინა? ვინ გამოგგზავნა?

და რას მიიღებს მეფე პასუხად, ხალხი არ იცდის, ის დაფთხა უმალ და აირია, იწყო ტირილი, ჟივილ-ხივილი, ლტოლვა დაიწყო ქალაქისაკენ. ვინ საით გარბის არავის ესმის: მცირეს მძლავრი სჭყლეტს, ჩამორჩენილებს წინ უსწრებს მარდი... ძრწუნავს ყოველი...

მხოლოდ მეფეა შეურყეველი. ის მთლად ამაღლდა, იგი მოიცვა ჰმუნვის ვაებამ, ფიქრმა დაღარა სპეტაკი შუბლი, თვალნი აფრქვევენ ცეცხლებრივ რისხვას და ხმა წყაზარი, ტკბილ მოსასმენი გრგვინვად გარდექმნა, ნაზ ქმნილებასა სამაგიეროდ ქალი-მფლობელი ლომად გარდიქცა და შეუყვირა:

— „შესდექით ხალხნო! არ გხადთ ლაჩრობა, როცა თამარი თქვენ გვერდითა გყავთ და თქვენთვის ზრუნავს!“

მერე მიმართა მხედართ მთავარს სასტიკ ბრძანებით:

„დაჰკათ ნაღარა, ჯარის კაცს უხმე და რაზმი რაზმად კვლავად დააწყეთ, იარაღითა შეიკმაზენით! შენ, სახლთუხუცესო, ბედაურითა ქალაქში წადი, ციხის კარები დააკეტინე, შიკრიკთა რაზმი სწრაფად აფრინე, შეატყობინე ერისთავთ ყველას ჩემი ბრძანება: ჯარი შეჰკრიფონ, ქუდზედა კაცი და საბურთალოს დაიბანაკონ...

მეფის ნუგეში, მისი ბრძანება, მძლავრი სიმტკიცე, გაბედულობა არეულ ხალხში ზარად გაისმა და ბრბო დამფთხალი კვლავ კაცად იქცა, გონზედ მოვიდა და მწყობრად, მძიმედ, დალაგებულად სახლში წავიდა. მას გაახსენდა რომ ქართველისთვის ძალიან შხირად ლხინს ჭირი სცვლიდა და ჭირსა ლხინი რომ „ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა ვით ქვითკირსა“ და დაშოშმანდა, შეურყევლად მეფეს მიენდო და ხვთის განგებას დაემორჩილა.

**ეკატ. გაბაშვილისა.**

# პირველი მაისი

მთელ დედამიწის ზურგზე პირველ მაისს დღესასწაულობს მშრომელი ხალხი. ამ დღეს შეჩერებულია ყველა ქარხანა და სამრეწველო. აუარებელი მშრომელი ხალხი ქუჩაშია გამოსული. ქუჩის შუა ალაგას მწყობრად ეწყობიან, ვით ჯარის კაცნი, და მიდიან ქალაქ გარედ, ბუნების წიაღში. მიდიან და მათს რიცხვს საზღვარი არა აქვს. მიდიან მშვიდად და ჩაფიქრებულნი. ზოგიერთ წყებაში ისმის სიმღერა, ჰიმნი მშრომელ მაჯის გამარჯვებისა.

იქვე სდგას პოლიციელი და წესიერების დაცვას შველის. ხელს არ უშლის, პირ იქით, თვითონაც გულზე წითელი ყვავილი გაუკეთებია. თითქმის ყველა ქალაქში ნება აქვთ ამისთანა მშვიდობიანი სადღესასწაულო დემონსტრაცია გამართონ, წითელი ბაირაღები გამოიტანონ, ხოლო აკრძალულია რაიმე ძალმომრეობას მიჰმართონ. ერთხელ შვეიცარიაში და ერთხელაც გერმანეთში დავესწარ ამისთანა დემონსტრაციას. შვეიცარიაში პროლეტართა რაზმი უფრო თავისუფლად იქცეოდა, კვირცხლს იტალიელებს დემონსტრაციაში სიცოცხლე შეჰქონდათ.

ქალაქ გარედ ბაღებს შორის, ტრიალს, მწვანე მოედანზე აღმართლია ტრიბუნა ორატორთათვის. სრულს 12 საათზე ზღვა ხალხი ახვევია ამ ტრიბუნას, ჯერჯერით გამოდიან ორატორები და მხრომელ ხალხს აცნობენ სხვა და სხვა სახელმწიფოთა მდგომარეობას, სახელმწიფოების ერთმანეთთან დამოკიდებულებას და უთვალისწინებენ თუ სხვა და სხვა სახელმწიფოში რა პირობებში იმყოფება მშრომელი ხალხი. ვნახე მოლაპარაკე სოც.-დემოკრატების ლიბკნეხტი, ახალგაზდა მოშავგრიმანო ყმაწვილი კაცი. ახასიათებდა გერმანეთის მთავრობის განზრახვებს ამ ოთხი წლის წინად. მკაცრი იყო მისი ლაპარაკი, ცეცხლს აფრქვევდა. მაგრამ გერმანელი მუშები ცივად იდგნენ და ზოგნი იღიმებოდნენ კიდეც. მე მაკვირვებდა ერთი რამ: თითქმის ყველა მოლაპარაკე ასე მიჰმართავდა ხოლმე: თქვენ, გერმანეთის მშრომელო ხალხო! ხაზს უსვამდნენ გერმანეთს და გერმანელებს.

მიტინგი სრულდებოდა 4 საათზე. ხალხი ისევ მწყობრად იშლებოდა: ზოგი შინისკენ მოდიოდა და ზოგიც საჩაიე-კაფეებში, ან და ბაღის რესტორანებში.

**სანდრო შანშიაშვილი.**

# დეპეშები

(პეტროგრადის საკუთარ კორესპ.)

**ფინლიანდიის სტატს-სეკრეტარ-მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა: ტყუილია ვითომ შვეცია რუსეთის წინააღმდეგ აპირებდეს გალაშქრებას. მართალია გერმანეთის აგენტების მიერ მოსყიდული გაზეთები დიდს აგიტაციას ეწევიან რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ მთავრობა არავითარ ყურადღებას არ აქცევს და ჰსურს კეთილი განწყობილება იქონიოს მასთანო.**

—

**ფინლიანდიის სეიმს 1917 წლამდე არ მოიწვევენ, რადგანაც პოლიტიკური მდგომარეობა ხელს არ უწყობს ახალ არჩევნებს.**

—

**ინგლისის დეპუტატთა პალატამ ირლანდიელები სამხედრო სამსახურისაგან გაანთავისუფლა.**

—

**დეპუტატთა პალატაში შეკითხვა შეიტანეს იმის შესახებ, თუ რათ განაგრძობს მთავრობა ირლანდიაში ისეთ სასტიკ ზომებს, როგორიც არის სიკვდილით დასჯა.**

**ჩვენი გაზეთის დღევანდელს ნომერში 6 გვერდია, „დამატებაში“ 4 გვერდი.**

**„მერანი“ თბილისის ხელის მომწერთ დაურიგდებათ ხუთშაბათს, 5 მაისს.**

**დღევანდელ ნომრისათვის გამზადებული წერილები ბევრი ვერ მოთავსდა. მათ სამშაბათის ნომერში მოვათავსებთ.**

# ახალი ამბავი

✦ **შიოს დილა** ყვირილაში იმართება 8 მაისს.

✦ **ცნობილი მეცნიერი მეჩნიკოვი** პარიზში მძიმე ავად გამხდარა.

✦ **ფქვილის რაოდენობა.** თბილისის სადგურზე გამოუზიდველ ფქვილის რაოდენობა 100 ათას ფუთს უდრის, ხოლო ვაგონებში დატვირთულ ფქვილის 20 ათას ფუთს.

## ბრძოლის ველზე

უკანასკნელ ბიულეტენების მიხედვით სისტემატიურად გვესმის ოსმალთა შეუწყვეტელი იერიშების შესახებ ხან ერზინჯანის მიმართულებით, ხან ზღვის ნაპირებზე, ხან კიდევ დიარბექირისა და მუშ-ბითლისის მხრით. აი, დღესაც ნახსენებია აშკალის მიმართულება, აგრეთვე მესოპოტამია. ყველა ეს მხოლოდ იმასა ჰმოწმობს, რომ ოსმალთა მდგომარეობა რაოდენადმე გაშოსწორებულა. ერზინჯანის მიმართულებით ოსმალნი თუ იერიშებით მოდიან, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ აშკალისა და ბაიბურთის მიმართულებით მოქმედ ფრთას მხარი გაუმაგრონ. მართალია, სერიოზული იერიში ერზინჯანის მიმართულებით რუსთა მხედრობის მიერ შეჩერებულ იქმნა, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, ვითომც საკითხი მთლად გარდაწყვეტილი ყოფილიყოს. ოსმალთ წესიერ იერიშებში, უეჭველია, ხელს უნდა უშლიდეს მაშველ ჯართა ნელი და მძიმე მოსვლა, შემდეგ ახალ ოპერაციაში უმთავრესად მონაწილეობას იღებენ აჭრულებული დივიზიები, რაიც საზოგადო შეტევისათვის ხელსაყრელი არ არის.

რიგა-დვინსკის ასპარეზზეც გამოცოცხლება ეტყობა. უკვე ნიშნებია წინასწარმეტყველების ასაცხადებლად. მრავალ ადგილას, თუმც ფართე არა, მაგრამ მაინც საკმაო მაშტაბით დაუწყიათ გერმანელთ ლაშქრობა. თუ რა სახეს მიიღებს იგი, იქნება იგი ისეთივე ზომის, როგორც გასულ წელს, ამას ახლო მომავალში გავიგებთ.

ვერდენის ოპერაცია შედარებით წყნარდება, ჰავასის სააგენტო ამას „შესვენების“ პერიოდს უძახის. მალე ახალ იერიშების მოლოდინში უნდა ვიყოთ.

X

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** 28 აპრ. **ოფიციალი. დასავლეთი ასპარეზი.** 27 აპრილს ძლიერი საარტილერიო სროლის შემდეგ გერმანელები იერიშით წამოვიდნენ იაკობშტადტის რაიონში, ზელბურგის ჩრდილოეთით. რაკი ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწიეს, გერმანელებმა იერიში განიმეორეს 28 აპრილს, ღამით. ბრძოლა სოფელ ეპურენთან, რომელიც მტრის არტილერიით დანგრეულ იქმნა. მედშურის ტბის სამხრეთ-დასავლეთით გერმანელები იერიშით წამოვიდნენ, მაგრამ აქაც ვერავითარ გამარჯვებას ვერ მიაღწიეს. იაკობშტადტისა და დვინსკის მრავალ ადგილას გერმანელებმა არტილერიის მკვირცხლი სროლა დაიწყეს. ს. ბარანოვიჩის ჩრდილო-აღმოსავლეთით გერმანელთა არტილერია უმთავრესად უშენდა სოფ. ოსტამინს, ბოიარის და სხვებს. რუსთა არტილერიამ ბევრგან გერმანელთა მუშები გაჰფანტა, რომელნიც პოზიციების გასამაგრებლად გამოეყვანათ. კოლკის რაიონის აღმოსავლეთით და ნოვოალექსინესთან გერმანელები იერიშით მოდიოდნენ, მაგრამ რუსთა თხრილებამდინ ვერც კი მიაღწიეს, რომ ისევ უკან გაატრიალეს.

**კავკასიის ასპარეზი.** ალაშქერთის რაიონში რუსებმა წინ წაიწიეს. ბაღდადის მიმართულებით მესოპოტამიაში რუსებმა მოიგერიეს ოსმალთა იერიშები. კასრთან რუსებმა ხელთ იგდეს ავსტრიელთა ტიპის ზარბაზანი და სხვა სამხედრო მასალა.

—

**პარიზი,** 29 აპრილი. დღისით მოსული ოფიციალი ცნობა. მაასის მარცხენა ნაპირზე ფრანგთა არტილერიამ მეტი მოქმედება გამოიჩინა ავოკურის ტყეში, გერმანელები ამაოდ ცდილობდნენ უკან დაებრუნებინათ დაკარგული თხრილები. ორ გზობის იერიში მოგერიებულ იქმნა. მაასის მარჯვენა ნაპირზე დუომონისა და ვოს შუა ზარბაზნის სროლაა. დანარჩენ ფრონტზე შედარებით სიწყნარეა.

**ლონდონი,** 28 აპრილი. გუშინ მთელი დღის განმავლობაში გერმანელები ამაოდ ცდილობდნენ უეცრივი იერიში მოეტანათ ოვილერთან. ბომონთან და ფრიკურთან დღეს ბრძოლა ინგლისელთა სასარგებლოდ მიდიოდა. ანგორნსა და იპრის მიმართულებით მკაცრი საარტილერიო სროლაა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ირლანდიელ მეამბოხეთა ბედი**

ლონდონიდან მოსული ცნობით მეამბოხეთა ზარალი გამორკვეული არ არის. მხოლოდ დუბლინში დაიღუპა 500 „სინფეინერი“. მეამბოხეთა ბელადი კონა-ლაი მძიმედ არის დაჭრილი, რის გამოც განაჩენი სისრულეში ვერ მოუყვანიათ. სხვა მეამბოხენიც, რომლებსაც მოწოდებაზე ხელი ეწერათ, ქუჩაში ბრძოლის დროს დაიღუპნენ. სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, როჯერ კეზმენტს სამხედრო სამართალში არ მისცემენო. საბრალმდებლო ოქმში გერმანეთში გაწეულ კეზმენების აგიტაციას არ შეეხებიან.

**შვეცია-რუსეთის დამოკიდებულება.**

სტოკჰოლმიდან იტყობინებიან: პროფ. სტეფენის შეკითხვის შესახებ გაზეთი „Aftontidnengen“ სწერს:

რუსეთს არ შეუძლიან ალანდიის კუნძულები ღია დასტოვოს გერმანელთა საპარპაშოთ. „Aftonlladet“-ის აზრი,—წინადადება მიეცეს რუსეთს, გადასცეს ალანდის არხიპელაგი შვეციას. შვეციის მთავრობის გამოსვლა ამ საკითხში რუსეთის წინააღმდეგ გაამწვავებს საკითხს, რაც ხელსაყრელია გერმანეთისათვის და არა შვეციისათვის. შვეციას ნება აქვს მოითხოვოს რუსეთისაგან, რომ ალანდის კუნძულებზე სიმაგრეები სამუდამოდ არ დარჩეს, რადგანაც ომის შემდეგ იგი საფრთხე იქნება შვეციისათვის. შვეციის მთავრობას მხოლოდ ამით უნდა დაკმაყოფილდეს და პროფ. სტეფენის და მისი თანამოაზრეთა დაწყებული საქმე შეაჩეროს.

**შეერთებულ შტატების და გერმანეთის განწყობილება**

ვაშინგტონის კორესპონდენტი „ტიმეს“ იტყობინება: ჩრდილოეთ-ამერიკის სამხედრო პირებმა მზადება დაიწყეს და მობილიზაციის მოლოდინში არიან. მთავრობამ გადასწყვიტა, თუ მობილიზაცია გამოცხადდა, 48 საათით ტელეფონი და ტელეგრაფი კერძო პირეთ ჩამოართვან.

„დაილუ ტელეგრაფ“-ს ნიუორკიდან ატყობინებენ: ვილსონი გერმანეთის პასუხმა ვერ დააკმაყოფილა, რის გამოც ახალი პირობები შეიქმნა. ვილსონი ეცდება იძულებულ ჰყოს გერმანეთი, მოთხოვნილების ყველა მუხლები დააკმაყოფილებინოს.

**გერმანეთი ახლო მომავალში.**

„პრავ. ვესტ.“ სწერს: ადვილი შესაძლებელია გერმანეთმა თავის ჯარი ინგლისში გადასხას და სამაგალითო რამ მოხდეს ჩრდილოეთ ზღვაში. გერმანეთი ამაზე ფიქრობს და მოკავშირენიც ღონისძიებას ხმარობენ მის საწინააღმდეგოთ. გარდა ამისა გერმანეთი რუსეთის ასპარეზსაც არ სტოვებს და აზრათ აქვს ზღვაზე და ხმელეთზე ერთად ამოქმედდეს. ამ გვარი ცდა მათთვის აუცილებელია, რადგანაც გერმანელებმა მხოლოდ ხმელეთით ვერ შესძლეს ბრძოლის ხაზის გარღვევა და წინ წაწევა.

საზღვარ-გარეთ უკვე ხმა გავრცელდა, გერმანეთი ზღვაზე გალაშქრებისათვის ემზადება, რისთვისაც ლიბავაში დიდი ფლოტი მოამზადესო. ამის გარდა ჩაკეტეს ნავთსადგურები ლიბავიდან ჰამბურგამდე საბარგო გემებისა და მხოლოდ სამხედრო გემებს შეუძლიანთ თავისუფალი მიმოსვლა. ყველა ეს საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ გერმანეთს განზრახვა აქვს ზღვით რუსების მარჯვენა ბრძოლის ხაზს გარს შემოერტყას, ამისთვის-კი საჭიროა გერმანელთა ფლოტის მკაცრი მოქმედება. უნდა მოველოდეთ გერმანელთა მოქმედებას ზღვაზე, რადგანაც მათ მხოლოდ ეს მხარე შერჩათ ძლიერი.

რედაქტორ-გამომცემელი
**სანდრო შანშიაშვილი**

# განცხადება

კახეთის რკინის გზის გამგეობა აცხადებს, რომ **1916** წლის **1** მაისიდან სახალხო და საქონლის მატარებლები თბილის-თელავ-წნორის წყლის შუა შემდეგის წესით ივლის:

**სახალხო-საქონლის მატარებელი თბილის-თელავი № 4 მე-II დ მე-III კლ.**

| ს ა დ გ უ რ ე ბ ი. | პეტროგრადის საათით. | | | თბილისის საათ. | |
|---|---|---|---|---|---|
| | მოდის. | სდგას წ. | მიდის. | მოდის. | მიდის. |
| თბილისი | — | — | 7 დილით. | — | 7—58 დილით. |
| ნავთლუღი-ამიერ-კავკასიის | 7—16 | 4 | 7—20 | 8—14 | 8—18 |
| ნავთლუღი-კახეთისა | 7—25 | 10 | 7—35 | 8—23 | 8—33 |
| ვაზიანი | 8—27 | 5 | 8—32 | 9—25 | 9—30 |
| იორი | 9—16 | 5 | 9—21 | 10—14 | 10—19 |
| საგარეჯო | 9—48 | 10 | 9—58 | 10—46 | 10—56 |
| ბადიაური | 10—42 | 5 | 10—43 | 11—40 | 11—45 |
| მელაანი | 11—55 | 10 | 12—05 დღე. | 12—53 დღე. | 1—03 |
| გურჯაანი | 1—10 | 25 | 1—35 | 2—08 | 2—33 |
| ვაჩნაძიანი | 2—08 | 5 | 1—13 | 3—06 | 3—11 |
| თელავი | 2—48 | — | — | 3—46 | — |

**სახალხო-საქონლის მატარებელი თელავ-თბილისი № 3 მე-II დ მე-III კლ.**

| ს ა დ გ უ რ ე ბ ი. | პეტროგრადის საათით. | | | თბილისის საათ. | |
|---|---|---|---|---|---|
| | მიდის. | სდგას წ. | მიდის. | მოდის. | მიდის. |
| თელავი | — | — | 11—50 დილით | — | 12—48 დღე |
| ვაჩნაძიანი | 12—25 | 5 | 12—30 დღე | 1—23 | 1—28 |
| გურჯაანი | 1—05 | 25 | 1—30 | 2—03 | 2—28 |
| მელაანი | 2—31 | 10 | 2—41 | 3—29 | 3—39 |
| ბადიაური | 3—33 | 5 | 3—38 | 4—31 | 4—36 |
| საგარეჯო | 4—23 | 10 | 4—33 | 5—21 | 5 31 |
| იორი | 5—03 | 5 | 5—08 | 6—1 საღამ. | 6—06 |
| ვაზიანი | 5—45 | 5 | 5—50 | 6—43 | 6—48 |
| ნავთლუღი-კახეთისა | 6—25 საღამ. | 10 | 6—35 | 7—23 | 7—33 |
| ნავთლუღი-ამიერ-კავკასიისა | 6—40 | 4 | 6—44 | 7—38 | 7—42 |
| თბილისი | 7—00 | — | — | 7—58 საღამ. | — |

**სახალხო-საქონლის მატარებელი გურჯაანი-წნორის-წყალი № 3.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| გურჯაანი | — | — | 1—40 | — | 2—38 დღე |
| კარდანახი | 2—04 | 10 | 2—14 | 3—02 | 3—12 |
| წნორის-წყალი | 2—39 | — | — | 3—37 დღე | — |

**სახალხო-საქონლის მატარებელი წნორის-წყალი-გურჯაანი № 5.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| წყნორის-წყალი | — | — | 12—00 დღე | — | 12—58 დღე |
| კარდანახი | 12—23 | 8 | 12—31 | 1—21 | 1—29 |
| გურჯაანი | 1—00 | — | — | 1—58 დღე | — |

1) შენ. № 4 და 3 გაჩერდება—კაჰრეთის, მუკუზანის და წინანდალის ბაქანზე 2 წუთით.
2) შენ. № 4 და 3 ერთმანეთს შეხვდებიან გურჯაანის სადგურზე.


საუკეთესო კახური
ღვინის სარდაფი
ადამ ზურაბის ძის
ბერელაშვილისა
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

ვაგზლის სამკურნალოში
(მიხაილოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)
სამკურნალოს ყველა ექიმებმა
კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ
დღე დილის 11—2 საათამდე.
აგრეთვე ექიმი—ქალი მარ. კონ. იოსელიანისა მიიღებს დედათა სნეულებით ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.
(თ.—126—24)

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს: მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლაღიძის და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის ნამდვილი სამკურნალო წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების ყალბი ეტიკეტების მიმსგავსებით ნამდვილი ლაღიძის წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგია




ქართულად თავმოროთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში დ თვით პრობკებსაც აწერია
„ლაღიძის წყალი“

მხოლოდ და მარტო ლაღიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე
სუნი და გემოც საამური აქვს
წლ.

გამოსადეგი ცნობა
კავკასიის სამკურნალო ადგილების
ცნობის მიმცემი ბიურო
(ბარიათინსკის ქუჩა № 6.)
უფასოდ იძლევა ყოველგვარ ცნობებს კავკასიის სამკურნალო ადგილების ყოველგვარ საკითხზე. ბიურო ღიაა საღამოს 5—7 საათამდე ყოველ დღე, უქმე დღის გარდა. ტელ. 14—96. წერილობითი პასუხის მისაღებად 10 კ. მარკა უნდა გამოიგზავნოს. (უ)

ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა დ წიგ. მაღაზია
„განათლება“-ში
იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.
პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.
ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.
ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

წიგნის მაღაზია
„ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).
ი. დ. კიკნაძისა.
თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.
გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილ წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეზველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-ზვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოხნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.